619
1960

53
ეროვნული
ბიბლიოთეკა



რეალი

№ 11 ნოემბერი 1960

ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯავახარლალ ნერუ
და განის რესპუბლიკის პრეზიდენტი კვამე ნკრუმა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბჭოთა ხალხი რევოლუციური კუბის მეგობარია

გვინეის დელეგატები

მსოფლიო უსმენს სიმართლის ხმას

ყველაზე უფრო მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოს
წარგზავნილი ესაუბრება ჟურნალისტებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

7 ნოემბრის დღესასწაული თბილისში. ტრიბუნაზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ამხანაგები გ. ი. ჩოგოვაძე, გ. ა. გეგეშიძე, პ. ვ. კოვანოვი, კ. ნ. გალიცკი, გ. დ. ჯავახიშვილი, ვ. პ. მეტანანაძე, გ. ს. ძოწენიძე, ფ. დ. დუმბაძე, გ. ი. ქადაგიძე, გ. ნ. ჯიბლაძე, ი. გ. რთველიაშვილი, ე. ა. შევარდნაძე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძისა.

79 86

გიორგი კაპანაძე

კვლავ დავესწარი

დიდი დღეების ეშხი ეს არის,
კვლავ რომ შემძრა და დამაფაცურა,—
ოქტომბრის ზეიმს კვლავ დავესწარი
და მოვილხინე ყმაწვილკაცურად.

მკლავი შრომაში დღესაც მიმართლებს,
არ მენატრება სითბო სხვა ბუდის,
უფრო რომ მეგრძნო ქვეყნის სინათლე,
ფიქრით წარსულში წუთით დავბრუნდი.

თვალი გარშემო მიმოვატარე,
ვნახე რა მზრდიდა, ხელს რა მიშლიდა,
და გამოვხედე ამ დღეს, ამ დარებს
მამა-პაპათა იმ ძველ ჭიშკრიდან.

ისე მემძიმა სუნთქვა სიჩუმის,
მყისვე დავტოვე ცხრა მთის გადაღმა...
და კვლავ ძლიერად ასე ვიგრძენი,—
რა შორს წავსულვართ, რა წინ, რა მაღლა!

ყველგან ამ გზაზე მზე მემოყვრება,
შეჯერა გმირული ჩვენი მსვლელობა,
ამ გზას „ავრორის“ ელვა მოყვება,
როგორც იმედი და დღეგრძელობა.

ჩემი სიამეც სწორედ ეს არის,
კვლავ რომ შემძრა და დამაფაცურა,—
ოქტომბრის ზეიმს კვლავ დავესწარი
და მოვილხინე ყმაწვილკაცურად.

↑ 7 ნოემბერი — მოსკოვის მშრომელთა დემონსტრაცია.

↓ 7 ნოემბერი თბილისში.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელე

№ 11 (112) ნოემბერი, 1960 წ

გამოცემის X წელი.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და საინფორმაციო-სამხატვრო ჟურნალი

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

ჭეშმარიტი რეალისტური გენია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბორის ბახტაძე

ლ. ნ. ტოლსტოის შემოქმედება მისი თანამედროვე რუსეთის ცხოვრების, პირველი რუსეთის რევოლუციის მომზადების ეპოქის (1861-1905 წწ.) ამსახველი სარკეა. ამასთან ერთად მწერალმა „შესძლო თავის ნაწარმოებებში დაეყენებინა იმდენი დიდი საკითხები, შესძლო ამაღლებულიყო ისეთ მხატვრულ ძლიერებამდე, რომ მისმა ნაწარმოებებმა ერთ-ერთი პირველი ადგილი დაიკავეს მსოფლიო მხატვრულ ლიტერატურაში. რევოლუციის მომზადების ეპოქა მეგატონეთა მიერ დაბეჩავებულ ერთ-ერთ ქვეყანაში, წარმოგვიდგა ტოლსტოის გენიალური. გაშუქების მეოხებით, როგორც წინგადადგმული ნაბიჯი მთელი კაცობრიობის მხატვრულ განვითარებაში“ (ვ. ი. ლენინი).

ტოლსტოიმ დაგვიტოვა სამი დიდი რომანი („ომი და მშვიდობა“, „ანა კარენინა“ და „აღდგომა“), ასობით დიდი და პატარა მოთხრობა, დრამები, დღიურების ტომები, წერილები ლიტერატურასა და ხელოვნებაზე, პუბლიცისტიკა, სხვადასხვა ტრაქტატები. მწერლის შრომისუნარიანობაზე, მის გასაოცარ ნებისყოფაზე ნათლად მეტყველებენ შემდეგი ფაქტები: ტოლსტოის არქივში სულ ინახება ნახევარი მილიონი (!) ხელნაწერი ფურცელი, რომელთაგან 171.000 ფურცელი თვითონ ტოლსტოის ეკუთვნის; ამავე არქივში 10.000 მისი წერილია (10 წლის ასაკში დაწერილ პირველ წერილიდან ვიდრე სიკვდილამდის, 1910 წლამდე) და 50.000 წერილი, რომლითაც დიდ მხატვარს, ჭეშმარიტად „ეპოქის აზრთა და გრძნობათა მპყრობელს“ მიმართეს სულ სხვადასხვა ადამიანებმა. ათასობით ფურცლებს ითვლის მემუარული ლიტერატურა ტოლსტოის შესახებ.

ისევე, როგორც ბევრი სხვა რუსი მწერლისათვის, ტოლსტოისათვის კავკასია, საქართველო იქცა მხატვრული შთაგონების აკვნად. აქ დაწერა მან „ბავშვობა“, დაამთავრა და ჩაიფიქრა სხვა ნაწარმოებები. თბილისში ნახა ტოლსტოიმ შამილის ცნობილი ნაიბი ჰაჯი მურატი. ამ შეხვედრის შთაბეჭდილება იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ დაახლოებით 50 წლის შემდეგ ტოლსტოი, უკვე ცნობილი მწერალი, დაუბრუნდა მას და შექმნა მოთხრობა „ჰაჯი მურატი“. ამ ნაწარმოებებზე მუშაობისას ლ. ტოლსტოი თხოვდა თავის ქართველ კორესპონდენტს ილია ნაკაშიძეს, რათა მას მიეწოდებინა მისთვის დაწვრილებითი ცნობები მაშინდელი ცხოვრებისა-სიმაგრეების და სხვათა თაობაზე.

სევასტოპოლში ტოლსტოი უბრალო რუსი ჯარისკაცების გმირობისა და პატრიოტიზმის მოწმე გახდა; აქ განცდილი მან ცნობილ „სევასტოპოლის მოთხრობებში“ ასახა. 50-იან წლებში ტოლსტოი პეტერბურგს ჩამოვიდა და გეეცნო მაშინდელი რუსული მწერლობის უთვალსაჩინოეს წარმომადგენლებს. ნ. გ. ჩერნიშევსკიმ, ამ ღრმა და დაკვირვებულმა კრიტიკოსმა, ლ. ნ. ტოლსტოის პირველ ნაწარმოებებშივე ამოიკითხა ის თავისებურებანი, რაც ბოლომდე ნიშანდობლივი დარჩება ტოლსტოი—მწერლისათვის. ჩერნიშევსკის განსაზღვრით, ეს არის „სულის დიალექტიკის“, „ფსიქიკური ცხოვრების იდუმალ მოძრაობათა ღრმა ცოდნა“, „ზნეობრივი გრძნობის უშუალო სიწმინდე“, აგრეთვე „ჭეშმარიტი მხატვრულობა“.

თავისი ცხოვრების უდიდესი ნაწილი ლევ ტოლსტოიმ მშობლიურ სოფელ იასნაია პოლიანაში გაატარა. 80-იანი წლებიდან ეს პატარა სოფელი იქცა, თუ შეიძლება ასე ითქვას, კულტურული კაცობრიობის მექადუამრავი ადამიანი მოდიოდა ტოლსტოისთან. „იასნაია პოლიანას პატრიარქთან“, ბევრიც, ახალგაზრდა რომენ როლანის მსგავსად, წერილობით სთხოვდა მას რჩევას, ცხოვრების აზრის გარკვევას. აქ იბადებოდა ტოლსტოის უდიდესი ნაწარმოებები, პამფლეტები, მრისხანენით გამსჭვალული პუბლიცისტიკა, რომლითაც იგი სამარცხვინო ბოძზე აკრავდა რუსეთის იმპერატორებსა და მათ დამქაშებს—„ტელეფონითა და ტელეგრაფით აღჭურვილ ჩინგიზ-ყაენებს“.

სიმართლის ამ დაუცხრომელმა ძიებამ ტოლსტოი რუსეთის პატრიარქალური გლეხობის თვალსაზრისამდე მიიყვანა, ვინაიდან დიდმა მხატვარმა გამოავლინა რუსეთის განვითარების ისტორიული გზების, მისი სოციალისტური გარდაქმნის აუცილებლობის სრული გაუგებრობა. პატრიარქალური გლეხობის თვალსაზრისზე გადასვლამ, როგორც ეს გენიალურად ახსნა ვ. ი. ლენინმა, განაპირობა ლ. ნ. ტოლსტოის მოღვაწეობის ყველა ძლიერი და სუსტი მხარე. ამ თვალსაზრისმა ერთ ხანს მიიყვანა ტოლსტოი თვით თავისი ცხოვრების ძირითადი ხაქმის—ხელ ოვნების უარყოფამდე („აღსარება“, „რა არის ხელოვნება?“, „შექსპირისა და დრამის შესახებ“, „რაღა ვქნათ?“ და სხვ.). 80-იანი წლების კულტურული რუსეთი და მსოფლიო შესძრა რუსოს „აღსარებაზე“ ბევრად უფრო ტრაგიკულმა და მდელვარე ტოლსტოის „აღსარებამ“, სადაც ეს დიდი მწერალი უარყოფდა თვით თავის შემოქმედებასაც კი. ამან იმდენად ააღელვა მომაკვდავი ტურგენევი, რომ მან სპეციალური წერილით, ამაღელვებელი სტრიქონებით მიმართა ლევ ტოლსტოის.

ცხადია, რომ ტოლსტოი ვერ აიღებდა ხელს ლიტერატურულ მოღვაწეობაზე. ცნობილია, რომ „აღსარების“ გამოქვეყნების შემდეგ მან დაწერა თავისი შედევრები: „აღდგომა“, „კრეიცერის სონატა“, „რისთვის?“, „მამა სერგი“, დრამატული ნაწარმოებები („ბნელეთის ძალა“, „ცოცხალი ლეში“, „განათლების ნაყოფნი“), „ჰაჯი მურატი“ და „ივანე ილიასძის სიკვდილი“, რომლის წაკითხვის შემდეგ აღტაცებული მოპასანი ამბობდა, ახლა მივხვდი, რომ ჩემი ოცი ტომი, არაფრად არ ღირებულაო.

ლ. ნ. ტოლსტოი — უდიდესი რეალისტი მხატვარია. იგი როდი იყო მხოლოდ „აზნაურულ ბუდეების“ ყოფაცხოვრების აღმწერი, როგორც მცდარად ფიქრობდა გ. ვ. პლეხანოვი. მისი შემოქმედება იძლევა მემამულისა და გლეხის, ბურჟუაზიულ - თავადაზნაურული რუსეთის 60 წლის ცხოვრების წარუშლელ სურათებს, დადებით გმირთა მთელ გალერეიას, უარყოფით მოვლენების დაუნდობელ მხილებას. ტოლსტოიმ მკაცრი მსჯავრი გამოუტანა ბურჟუაზიულ-თავადაზნაურულ ოჯახს, მორალს, კერძო საკუთრებას, ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციას, სამართალს, სახელმწიფოებრიობას, ოფიციალურ ეკლესიასა და რელიგიას. ამასთან ერთად ტოლსტოის შემოქმედებასა და მსოფლმხედველობაში, ლენინის თქმით, გამოვლინდა მყვირალა წინააღმდეგობანი, რეაქციული მხარეები: „ბოროტებისადმი წინააღუდგომლობისა“ და „ზნეობრივი თვითსრულყოფის“ მოძღვრება, ახალი „განწმენდილი“ რელიგიის შექმნის ცდა, ქვეტესტური და ფატალისტური ელემენტები, მორჩილების და ძალდატანების უარყოფის წინ წამოწევა, როგორც რუსეთის ხალხის დამახასიათებელი თვისებებისა (პლატონ კარატაევისა და ფოკანიჩის სახეები „ომსა და მშვიდობაში“ და „ანა კარენინაში“, ნეხლუდოვის „თვითგანწმენდა“ „აღდგომაში“), აპელაცია „მსოფლიო სულისა“ და განაყენებულ მარადიულ ჭეშმარიტებებისადმი.

მიუხედავად ამისა, ტოლსტოის შემოქმედებაში მთელი სიღრმით, სიფართოვითა და სიმართლით აისახა პირველი რუსული რევოლუციის მომზადების ხანა, მისი უმტკივნეულესი საკითხები, ეპოქა, რომელიც ძევს 1861 და 1905 წლებს შორის (თუმცა ტოლსტოის შემოქმედება ცოტა ადრე დაიწო), კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში და მისი თანმხლები პირობები. ლევ ტოლსტოი თავისი შემოქმედების მთელი მიმართებით რეალისტი მწერალია.

ტოლსტოიმ ვერ გაიგო 1905-1907 წლების რუსული რევოლუციის შინაარსი, მაგრამ ტოლიპინის რეაქციის შავბნელ ხანაში იგი, ილია ჭავჭავაძის მსგავსად, გამოვიდა რევოლუციონერთა სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ და თქვა, „არ შემიძლია გავჩუმდე!“

შემთხვევითი როდი იყო ის გარემოება, რომ ტოლსტოის კოლოსალურმა მოვლენამ მიიპყრო ვ. ი. ლენინის ყურადღება. ჯერ კიდევ ნაშრომში „აგრარული საკითხი და მარქსის „კრიტიკოსები“ ლენინმა დააყენა საკითხი ტოლსტოისა და მისი მოძღვრების მარქსისტულ შეფასების აუცილებლობის შესახებ, ხოლო 900-იან წლებში ლენინმა წერილების მთელი ციკლი მთანდომა ტოლსტოის შემოქმედების იდეურ-ესთეტიკურ ანალიზს, ასახვის მატერიალისტური თეორიისა და კლასთა ბრძოლის შესახებ მარქსისტული მოძღვრების პოზიციებიდან. ვ. ი. ლენინმა თავის წერილებში ლ. ნ. ტოლსტოის შესახებ ახსნა და განსაზღვრა ამ დიდი მხატვრის, რუსულ ლიტერატურაში „პირველი გლეხის“ ისტორიული ადგილი რუსულ და მსოფლიო ლიტერატურაში, გააკრიტიკა, გამომაზეურა მისთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი, დაახასიათა ტოლსტოი, როგორც „გენიალური მხატვარი, რომელმაც მოგვცა არა მარტო რუსეთის ცხოვრების უბადლო სურათები, არამედ მსოფლიო ლიტერატურის უბადლო ნაწარმოებებიც.“

ლევ ტოლსტოიმ განუზომელი გავლენა მოახდინა რუსულ და მსოფლიო ლიტერატურაზე. ტოლსტოის სიდიადეს აღიარებდნენ მისი დიდი თანამედროვენი, ლიტერატორთა შემდგომი თაობების საუკეთესო წარმომადგენლები.

ლევ ტოლსტოის შემოქმედება დღეს მილიონობით ადამიანის, მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა. იგი გვინერგავს ზნეობრივ სიწმინდეს, ცხოვრების გულწრფელობას, შეუდრეკელ შრომას, მოუწოდებს მხატვრული რეალიზმის ახალ მწვერვალთა დასაპყრობად.

მუნჯი ჰამაზი

საბჭოთა სოფლის 40 წლისადმი მიძღვნილი ბიბლიოთეკა

მოთხრობა

სერო ხანდაღიანი

ჩემი მწარე და სევდიანი წარსულიდან ცოტა რამ მახსოვს. სიზმარივით მაგონდება წელში ოთხად მოხრილი ბებიაჩემი. სურმანების სამკლავეებით, წითელი მაუდის ქამრით. მახსოვს გაქცეული ძაღლი, ჭრელი კატა, ბელურებსა და მერცხლებზე რომ ნადირობდა, ძველ ქვევრს მოეფარებოდა და შეახრამუნებდა ხოლმე.

მაგრამ ყველაზე ნათლად მახსოვს ჩვენი მეზობლის—კოჭლი ოჰანჯანის უღარიბესი მწყემსი, მუნჯი ჰამაზი.

მუნჯი ჰამაზი... გუშინდელ დღესავით მახსოვს მთაში რომ მივყავდი ხოლმე, სტვირს მიკეთებდა, მეთამაშებოდა, დაღლას შემამჩნევდა თუ არა, ცხვრის ფარასთან ერთად სოფელში ჩამომიყვანდა.

ბევრმა ტკბილმა და მწარე მოგონებამ ჩაიბუდა ჩემს მეხსიერებაში ამ მუდამ პირქუშ და სევდიან ჰაბუკზე. საერთოდ იგი უსაზღვროდ კეთილი იყო, მაგრამ თუ ვისმეს ავკაცობას შეამჩნევდა, ისე გაშმაგდებოდა ხოლმე, რომ ძე ხორციელი სათოფეზე ვერ გაეკარებოდა, სიტყვის თქმას ვერ გაუბედავდა. მუნჯ ჰამაზს ძალზე ეჯავრებოდა ბატონის—კოჭლი ოჰანჯანის შვილები და რძლები, ჩემს მიმართ კი ძალიან გულთბილი იყო, მუდამ ალერსიანი, ერთგული.

ჰამაზი დაახლოებით ჩვიდმეტ-თვრამეტი წლისა იქნებოდა, ჩემზე ათი წლით უფროსი. ზამთარზაფხულ უქუდოდ და ფეხშიშველა დადიოდა. ხუჭუჭი თმები ქეჩის ფაფახივით ედო მრგვალ თავზე, ძველი ჩოხა ეცვა, ათასგვარი საკერებლებით დამძიმებული, ჭუჭყისგან გაშავებული შარვალი ეცვა, ალბათ, რამდენიმე წლის გაურეცხავი და გაუწმენდავი.

ყოველთვის, როცა ბავშვობის მოგონებებში ჩავიყურყუმელავებ, მუდამ თვალწინ წარმომიდგება ხოლმე შავთვალწარბა, მზისგან გარუჯული მუნჯი ჰამაზი.

მე და ბებია ვცხოვრობდით სოფლის ბოლოს ერთ ძველ სახლ-გამოქვაბულში. ეს გამოქვაბული პირწამოწვდილი ფრიალო კლდეების შორიახლო მდებარეობდა, რომელთა ნაპრალებში დილა-საღამოობით მტრედების გაბმული ტკბილი ღუღუნი და აქაფებული ჩანჩქერების შხუილი ისმოდა. ჩვენს სახლ-გამოქვაბულში მზეს არასოდეს არ შემოეხედა. კედლებზე ობი იყო მოკიდებული, ზამთარში და წვიმიან დარში ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა.

ბებიას ფერმკრთალი პირისახე დადარული ჰქონდა, ხელები გაძვალტყავებული, მიმჭრალი თვალების უპეები მუდამ ცრემლებით სავსე.

ჩვენ არც საბაღ-ბოსტნე მიწა გვქონდა, არც სახნავ-სათესი. ერთი ქეციანი ძაღლი, რომელიც, მთელ დღეს მზეს მიფიცხებული, გამვლელ-გამომვლელს უღრენდა, და ერთიც ჭრელი კატა იყო ჩვენი საკუთრება, მეტი არაფერი. ხშირად საღამო ჟამს მე და ბებია კლდის ნაპრალზე ჩამოვსხდებოდით ხოლმე და კლდის ფერდობზე გაშენებულ სოფლის უსწორმასწორო ქუჩას გავცქეროდით. ერდოებიდან კვამლი ამოდიოდა, ზლაზნით მიიკლაკნებოდა მაღლა, საღამოს ბურუსს უერთდებოდა და ლურჯი ცის თაღს ეკვროდა.

ბზის კვამლივით სქელი წყვდიადი გამოსრიალდებოდა ხოლმე კლდეების ბნელი ნაპრალებიდან, ზეწარივით გადაეფარებოდა მთელ სოფელს და გრძელი, სოფლური ღამე დგებოდა. ბებია რის ვაი-ვაგლახით, ხველებით წამოდგებოდა, ხელს მომკიდებდა და სახლში შემიყვანდა. ზღურბლზე შეჩერდებოდა, უკან მიიხედავდა, თვალს გაუსწორებდა წყვდიადით დაბინდულ შარაგზას და წაიდუდუნებდა:

— შავად იქეც გზაო, ნეტა როდის მომიყვან ჩემს შვილს—აბედნაკს!..

აბედნაკი მამაჩემს ერქვა. მე ის არასოდეს არ მენახა. მხოლოდ ბებიას ნაამბობიდან ვიცოდი, რომ იგი შვიდი მთის იქით მუშაობდა, სადღაც დიდ ქალაქში, ლონიერი იყო, კოჭლი ოჰანჯანის შვიდივე შვილს მარტო მოერეოდა. მამაჩემის ხსენებაზე ბებია ყოველთვის პირჯვარს გამოიხახავდა და ცრემლიან თვალებს წინსაფარის კალთით მოიწმენდდა.

ბებიას სიტყვით, მამა თვედათვე ფულს გვიგზავნიდა, მაგრამ ამ ფულს ჩვენ კი არ გვაბარებდა პრისტავი, არამედ კოჭლ ოჰანჯანს მიართმევდა ხოლმე ვალის პროცენტების დასაფარავად.

— ბები, ეგ პლოცენტები როდის გათავდება?—ვეკითხებოდი მე ბავშვობისას.

— მაგ პროცენტებს ბოლო არ ექნება, შვილო,—კვნესით მეტყოდა ხოლმე ბებია, შუბლზე მაკოცებდა, და განაგრძობდა,—არა უშავს, შვილო, ალბათ ოდესმე ჩვენი პატრონიც გამოჩნდება და კოჭლ ოჰანჯანს ყელში მისწვდება.

და მეც მორჩილად ველოდებოდი იმ ნეტარ დღეს, იმ „ჩვენი პატრონის“ მოსვლას, ესე იგი მამაჩემის დაბრუნებას. მაშინ მეც ახალი ქალამნები მექნებოდა, ისეთი, როგორიც ოჰანჯანის შვილიშვილებს აცვიათ. ღამღამობით ხშირად ვხედავდი მამას. იგი ყოველთვის ცეცხლოვანი რაშით მოდიოდა ჩვენსკენ და ჩემთვის ბევრი კანფეტი და ჩამიჩი მოჰქონდა. ამ სიზმრებით გამომეღვიძებოდა და სიცივისაგან კბილს კბილზე მაცემინებდა.

— ბები, როდის მოვა მამიკო?—მალმალე ვეკითხებოდი მე.

ბებია მიმიკრავდა ხოლმე გაცივებულ მკერდზე და მეტყოდა:

— მოვა, თავს შემოგევლე, მოვა, ცოტა კიდევ მოითმინე.

მე არ ვიცოდი ბებიას რიფ ედგა სული, როდის ან რით იკვებებოდა, არასოდეს არ მინახავს რაიმე ეჭამა, დღისით მტოვებდა გამოქვაბულის წინ კუდმოგლეჯილ ძაღლის ამარა, თვითონ გზას დაადგებოდა, ოღროჩოღრო ქუჩებში მიიმალებოდა და იმ დროს ბრუნდებოდა, როცა მზე მთას მოეფარებოდა. მოვიდოდა, ქვაზე ჩამოჯდებოდა, კვნესოდა, დიდხანს ახველებდა, მე გაშტერებული შევცქეროდი ხელებში. თუ ბებია ხელს ჩაიყოფდა კაბის ჯიბეში, ეს იმას ნიშნავდა, რომ მოტანილი ჰქონდა ერთი ნაჭერი პური ან მოხარშული კარტოფილი, ან ქალალდის ნაგლეჯში გამოხვეული მოხარშული ლობიო, და უმალვე მომაწოდებდა. მაგრამ თუ გულხელდაკრეფილი მოვიდოდა, მაშინვე ვხვდებოდი, ხელცარიელი იყო მოსული,—გვერდით მივუჯდებოდი, მდუმარედ გავცქეროდი ერდოებიდან ამოსულ კვამლს და ვფიქრობდი, ვინ იცის იქ რა კარგი და გემრიელი საჭმელები იხარშებამეთქი. განსაკუთრებით თვალი გამირბოდა კოჭლი ოჰანჯანის სახლისაკენ. იქიდან ნიავს მუდამ მწვადის და სხვა შემწვარ-მოხრაკული კერძების მადის აღმძვრელი, გამაღიზიანებელი სუნი მოჰქონდა. იქ ოჰანჯანის რძლები ოქროს სურმების ზრიალით დარბოდნენ მარნიდან სახლში, ვახშმის ხამზადისში იყვნენ.

— ბები, ჩვენი კერია როდის უნდა აანთო?—ვეკითხებოდი ბებიას, როცა ოჰანჯანის სახლის ბუხრებიდან ამოსულ კვამლს დავინახავდი ხოლმე.

— ჩვენი კერია?! ავანთებ, შვილო, ავანთებ, როცა მამაშენი დაგვიბრუნდება.

* * *

ყოველ საღამოს, როცა კოჭლი ოჰანჯანის ცხვრის ფარა მთიდან ჩამოდიოდა, ჩვენი გამოქვაბული მტვრის ბორიაყში გაეხვეოდა ხოლმე. ფარას წინ მოუძღოდნენ რქებდაგრეხილი ვაცები. გრძელი ბეწვი მიწაზე მოსთრევდათ ამ გაბღენძილ მეგზურებს. მათ დინჯად მოსდევდა მსუქანდუმიანი ცხვრების ნაკადი, ბოლოს ძაღლები და სულ უკან მუნჯი ჰამაზი.

ჰამო საჰიანი

ქართველ ხალხს

ჩვენს ტოროლებს თქვენს ყანაში
საბუდე აქვთ სანეტარო,
თქვენი ღრუბლის ქარავნები
ჩვენს ხევებში სვამენ წყაროს.

ჩვენს დაბურულ ხეივანში
ღამეს ათევს თქვენი ქარი,
ჩვენი ვერხვიც თქვენის დარად
შეირხევა, როგორც ქნარი.

ჩვენს ლაღ ირემს ნანას უმღერს
მყუდროება თქვენი ტყეთა,
ჩვენს მთაზედაც თქვენი შველი
ადი-ჩადის ზედი-ზედა.

ვინ არ იცის: ამ ერთ მზის ქვეშ,
ათასწლობით, მინდორ-ველად,—
თქვენს ტკბილ ურმულს ბანს აძლევდა
ჩვენი ტკბილი ოროველა.

რა ვუყოთ, რომ სხვადასხვაა
მარად ჩვენი მკვიდრი ენა,
ერთმანეთი რომ გვიყვარდეს,
გული განა გვიშლის ჩვენა?!

სომეხს, ქართველს ძმები ჰქვია,
გვწამს მოდგმიდან ჩვენი მხარე,
ჰურ-მარილში არასოდეს
არ ვურევდით ჩვენ სიმწარეს.

ერთი იყო ჩვენი გულიც,
გაბზარული არ ყოფილა,
არც ერთ ზღვარს არ გაუვლია,
არასდროს არ გაყოფილა.

არ არსებობს ჩვენში მიჯნა,
არც მესაზღვრე, არც დარაჯი,
მესაზღვრეა,—ძველ არაქსთან,
გმირი რომ დგას მაზარაში!

დე, უსაზღვრო ჩვენს სამშობლოს
ასცდეს მტერი ათასგვარი,
ჩვენს შორისაც აღარ იყოს
ძველი მიჯნა და საზღვარი!

სომხურიდან თარგმნა **ალიო მირცხულავამ**

შორიდან დამინახავდა თუ არა, ხელს დამიქნევდა ხოლმე, თითქოს მესალმებოდა, მერე კომბალზე დაეყრდნობოდა და ასე გვიყურებდა დიდხანს, დიდხანს, მეც და ბებიასაც. თუ ამ დღეს ბებიას ჩემთვის რაიმე საჭმელი ჰქონდა მოტანილი, მუნჯ ჰამაზს თანაგრძნობით დაუწყებდა ცქერას და თან წაიბუტბუტებდა:

— ეჰ, დაბრმავდეს ბედის დამრიგებელი, შვილო! ერთი ენა განა რა იყო, ისიც დაიშურა შენთვისო...

ხოლო თუ არაფერი ჰქონდა მოტანილი—ერთ ხელს მუცელზე დამადებდა, მეორე ხელით ჰამაზს მუნჯურად აუხსნიდა, რომ მე მშიერი ვიყავი. ჰამაზი დაღონდებოდა, მსხვილ ტუჩებს მაგრა მოკუმავდა და გაშმაგებული თვალების ბრიალით გაგვშორდებოდა, მაგრამ ცხვარს ფარეხში დააბინავებდა თუ არა, უკან მოირბენდა, გვერდზე მოგვიჯდებოდა, გუდიდან ყველსა და პურს ამოიღებდა და თანაბრად გაგვინაწილებდა. ბებია თავისი ულუფის მიღებაზე როგორც ყოველთვის, ახლაც უარს ეტყოდა ხოლმე და დასძენდა:

— მიწამ ჩაყლაპოს კოჭლი ოჰანჯანის შვილები! შენი ჭირის სანაცვლონი იყვნენ, ჩემო ჰამაზ... ქვეყნის ქონება აოხრიათ და ამ ჩემ ობოლ ბიჭს ერთი ლუკმა პური არ გაიკითხავენ.—შემდეგ რაღაცას დუდუნებდა, ხელს ოჰანჯანის სახლისაკენ იშვერდა.

დანაყრების შემდეგ ბებია ერთ მუხლზე ჩემ თავს დაიდებდა, მეორეზე — ჰამაზისას და ძველ ზღაპრებს გვიამბობდა, თან ბეჭსა გვფხანდა. ხანდახან ოხვრა აღმოხდებოდა, სწუხდა, რომ საბრალო ჰამაზს არაფერი ესმოდა.

მე დაყინებით ჩავცქეროდი ჰამაზს დიდრონ შავშავ თვალებში და ასე მეგონა, თითქოს მასაც ესმოდა ბებიას მომაჯადოებელი ზღაპრები. ზოგჯერ ჰამაზი შუა გზაზე მიატოვებდა ზღაპარს, წამოდგებოდა და ბნელ ორლობეში გაუჩინარდებოდა.

ბებიაჩემი კაბის კალთით მოიწმენდდა ცრემლებს და ჰამაზს დედაშვილურად დალოცავდა:

— ღმერთი იყოს შენი შემწე, შვილო... უფალს ვთხოვ, ოჰანჯანსა და მის შვილებს დაუმოკლოს სიცოცხლე და მათი დანაკლისი წლები შენ გაჩუქოს!.

* * *

ჩვენი სოფელი კარგა მოზრდილი იყო—შრანიდან მდინარე შორის პირამდე. მე ამ სოფლის შემოვლას თავიდან-ბოლომდე ნახევარ დღეს მოვუნდებოდი. აქ ბევრი მდიდარი ცხოვრობდა. მათ წითლად შეღებილი, თუნუქით გადაბურული და მწვანე აივნიანი ქვიტკირის სახლები ჰქონდათ. მათ ცხვრის ფარას და საქონლის ნახირს ხომ კაცი ვერ დაითვლიდა. ჩვენს მეზობლად ბევრი შეძლებული ცხოვრობდა, მაგრამ ჩვენი ყურის მგდებელი და ლუკმა პურის მომწოდებელი ჰამაზი იყო, მხოლოდ ეს კეთილი მუნჯი. მას დიდი ხანია მშობლები დახოცოდა, ამ ქვეყნად არავინ გააჩნდა.

მზიან და თბილ დღეს ჰამაზს მთაში მივყავდი ხოლმე. ცხვარი სანდერის ხეობისკენ მიგვიდიოდა. იმ მხარეს ჩემ სიმაღლე ბალახია, ყინულივით ცივი წყაროები. გზადაგზა მუნჯი ჰამაზი წნორის ან ასკილის ტოტებისაგან სტვირებს მიკეთებდა. იმ საცოდავს სტვირის დაკვრის ხმა არ ესმოდა, მაგრამ მაინც აღტაცებული იყო, როცა მე დავუკრავდი და ხელით ვანიშნებდი სტვირის ავკარგიანობას. მე ვუკრავდი ხოლმე, ის კი მდინარის პირას ქვაზე ჩამოჯდებოდა და დიდხანს—დიდხანს გასცქეროდა მდინარეს... რას ფიქრობდა ამ დროს მუნჯი, ვერ გამომეცნო, ძალიან კი მებრალებოდა ჩემი კარგი გულითადი მეგობარი ჰამაზი...

შუადღისას ცხვარი ჩრდილში რომ ისვენებდა და იცოხნიდა, ჰამაზი დიდ ჯიქნიან თხას დაიჭერდა, მოწველიდა, პურს ჩაყრიდა და ერთად შევექცეოდით.

ხანდახან ეს მუნჯი ჩობანი თასით მოგვირბენინებდა რძეს. ისე დღე არ გავიდოდა ჩემთვის საჩუქარი არ მოეტანა. ხშირად ასეთი შემაძრწუნებელი ამბის მოწმე ვიყავი: კოჭლი ოჰანჯანის შვილები დაიმარტოხელებდნენ მწყემსს და მაგრა დაბეგვავდნენ ხოლმე იმისათვის, რომ ის ჩვენ თავის ლუკმას გვიზიარებდა:

— შე ძაღლო, ძაღლიშვილო, მაგ ბოლშევიკის ლეკვს პურს რად აძლევ?—უღრიალებდნენ ისინი.

ამ სურათს რომ ვუყურებდი, გული მეთუთქებოდა, ბებიას კალთას ამოვეფარებოდი, ცხარე ცრემლებს ვაფრქვევდი და ბებიას ვეკითხებოდი:—რა ხალხია ეგ ბოლშევიკები-მეთქი. ბებია გამიწყრებოდა, პირზე ხელს მაფარებდა, ჩამჩურჩულებდა:

— სუ, გაჩუმდი, ბოლშევიკი მამაშენია, სუ, ხმა, კრინტი!

ბებია ჰამაზს სხეულის ნატკენ ადგილებზე რაღაც ხსნარს უსვამდა, თან ხელს იშვერდა კოჭლი ოჰანჯანის სახლისაკენ,—და მრისხანედ ამბობდა:

— გაწყდით, გაწყდით, დაგექცეთ ოჯახი, კარმიდამო! ამ ღვთისაგან დასჯილმა კაცმა რა დაგიშავათ, ასე უმოწყალოდ რომ სცემთ, თქვე არამზადებო, თქვენა...

* * *

ერთ დღეს სოფელში დიდი არეულობა დაიწყო. გლოვის ზარივით მოთქვამდა ეკლესიის სამრეკლო. მდინარე შორის მხარეს თოფებს გრიალი გაჰქონდა. ხალხი სოფლის მოედანზე გამოეფინა, ყაყანებდნენ, ყვიროდნენ.

შუადღე იყო.

მე ჩვეულებრივ ჩვენი გამოქვაბულის წინ ქვაზე ვიჯექი და მდინარეში კენჭებს ვისროდი, თან ცალი თვალი გზისკენ მეჭირა, როდის გამოჩნდებოდა ბებია. იგი მალე გამოჩნდა. აღმართზე ქლოშინით მოდიოდა, წელში უფრო გამართული ჩანდა, უფრო მარდად მოაბიჯებდა. იმის დამჭკნარ თვალებში სიხარული ციალებდა.

— ბები, ეკლესიის ზარებს რად რეკავენ?—შევეკითხე და ხარბად დავხედე მის ხელებს.

— ჩუ, ბოლშევიკი მოდის.

— მამიკო?

— სუ,—პირზე ხელი დამაფარა.

ეკლესიის ზარების რეკვას ყრუ გუგუნით ეხმაურებოდნენ კლდის ნაპრალები, ჩვენი გამოქვაბულის კლდეები, შორეული მთა. გზირი ხმამაღლა ყვიროდა, ვიღაცას ეძახდა, საჩქაროდ მამასახლისთან მოუხმობდა. ეკლესიის გალავანში მღვდელი ტერ-მინასა ხელებს მოუსვენრად აქნევდა.

დიდი ჩოჩქოლი იყო აგრეთვე კოჭლ ოჰანჯანის ეზოში. ბატონის შვილებმა საჩქაროდ შეკაზმეს ცხენები, თოფ-იარაღი აისხეს, და ქვემოთ დაეშვნენ. უცებ ჩვენი გამოქვაბულის წინ კოჭლი ოჰანჯანი გაჩნდა, დოინჯშემოყრილი გაჩერდა და ბებიას დაუღრიალა:

— ჰაიტ, შენ ერის მოღალატის დედავ! აგერ შენი ბოლშევიკი ბიჭი მოგდის. დღეს თუ ხვალ თავს წავაცლით და შენ მოგართმევთ, ამას ბევრი ლარი და ხაზი არ უნდა!.. ჰა... ჰა... ჰა...

ბებიაჩემმა ხმა—კრინტი არ დაძრა, ხელი მომკიდა და გამოქვაბულში შემიყვანა.

მართლაც საშინელი და საგანგაშო ღამე ჩამოდგა. ცა თალხი ღრუბლებით დაფარულიყო. ჩვენი სახლ-გამოქვაბულიდან არც ერთი ვარსკვლავი არ მოჩანდა. მთელი ღამე ძაღლები ყეფდნენ. სოფლის გზაზე განუწყვეტლივ ისმოდა ფეხის ხმა, ცხენების ჭიხვინი. ბებიამ გულზე მიმიკრა, ჩუმად რაღაცას ბუტბუტებდა. ცდილობდა დავეძინებინე, ხანდახან მაშინებდა კიდეც, თუ არ დავიძინებდი კლდის დევი მოვიდოდა, მაგრამ ჩემ თვალს ძილი არ ეკარებოდა.

შუადამისას მუნჯი ჰამაზი მოვიდა, ყველი და პატარა ნატეხი პური მომცა და მაშინვე უკან გაბრუნდა. მე გამალებით გადავსანსლე და გათენებისას ჩამეძინა.

სამი დღე მუნჯი ჰამაზი აღარ ჩანდა. შიმშილისაგან თითებს ვიკვნეტდი. მეოთხე დღეს დავინახე შორს, ხმატის მთის ფერდობზე ცხვარს მოერეკებოდა.

იმ საბედისწერო დღის შემდეგ დღეიადამ ჩვენი სოფელი ბუდეაშლილ ფუტკრებივით—ყო აფორიაქებული. დღენიადაგ ჯარები მიდი-მოდიოდნენ. კოჭლ ოჰანჯანიანთ ეზოში მუდამ შეკაზმული ცხენები იდგნენ და ვიღაცა გრძელულვაშიანი კაცები დააბოტებდნენ. ისინი ღამღამობით რაღაც უცნაურ სიმღერებსა მღეროდნენ, სვამდნენ, თვრებოდნენ, ღრიანცელი გაჰქონდათ.

ბებია თავს აღარ მანებებდა. საღამოობით გარეთ არ გამოვდიოდით. არც არავინ კითხულობდა ჩვენს ავკარგს, თითქოს ამ ქვეყნად არც კი ვყოფილიყავით. ხანდახან გამოქვაბულში აჩრდილივით მხოლოდ მუნჯი ჰამაზი შემოიპარებოდა, მომცემდა პურსა და ყველს და ჩუმად გაიპარებოდა.

* * *

ერთ ღამეს ვიღაცამ ზურგში მაგრა ჩამცხო. მაშინვე გამომეღვიძა. თვალი გავახილე, ჩემს საწოლთან იდგა კოჭლი ოჰანჯანი. მას მახვილივით მოღუნული ულვაშები და ჩასისხლული თვალები ჰქონდა. გამოქვაბული სავსე იყო ვიღაც უცნობი გრძელულვაშა კაცებით. ისინი შეიარაღებული იყვნენ ხმლებით და თოფებით. ბებიას უყვიროდნენ, თოფის კონდახებს ურტყამდნენ. ამის დანახვაზე მე თავზარდაცემული მოვეხვიე ბებიას მუხლებს, მაგრამ უეცრად ვიღაცამ ღონიერი ხელით ზურგში ჩამაფრინდა, ბებიას მომაშორა და შორს გადამისროლა.

ბებია კოჭლი ოჰანჯანის წინ იდგა და ზამთარში გაყინულ წყალში ჩავარდნილ ადამიანივით ცახცახებდა.

— სად არის შენი ბოლშევიკი შვილი, ქოფაკო?—გაშმაგებით ეკითხებოდა კოჭლი ოჰანჯანი,—სად არის? სად? სთქვი, სოფელში შემოპარულა, ბოლშევიკური ქაღალდები მოუტანია, სად გადამალე? სად? მალე სთქვი, შე—ქოფაკო?..

— აბა, მე რა ვიცი! ამ უპატრონო ბავშვს გეფიცებით, არ მინახავს,—ჩიფჩიფებდა ბებია და თან პირიდან ხისხლს აფურთხებდა.

იგი გარეთ გაათრიეს. მე გავიფიქრე. ალბათ მიყავთ, რომ კლდიდან გადაჩეხონ-მეთქი, და რაც ძალა შემწევდა კივილი მოვრთე. ერთ-ერთი გრძელულვაშა მეცა და ნიჩაბა ხელი პირზე დამაფარა. ამ ხელიდან თოფის წამლის და ცხენის ოფლის სუნი მეცა ცხვირში.

თენდებოდა. ხმატის მთის კალთებიდან ნიავს თოფების და ზარბაზნების სროლის ხმა მოჰქონდა. ხანდახან ჩვენი კლდეების ზემოთაც დაიგრუხუნებდა რაღაც და ქარაფზე სქელი მტვერი ავარდებოდა ხოლმე, საპასუხოდ ეხროდნენ ჩვენი სოფლიდან. ჯერ კიდევ გუშინ, ბებია გულდასმით მიაყურებდა. როცა ხმატის მხრიდან გაიგონებდა სროლის ხმას, „ჯაანს“ ამბობდა, ხოლო სოფლიდან გახროლილზე —„ჩორს“. მეც შევისწავლე ეს წამოძახილები და ბებიას ვბაძავდი...

ბებია გაათრიეს კოჭლი ოჰანჯანის სახლიკენ. იქ ბევრი ხალხი ირეოდა, ნემსი არ ჩავარდებოდა. ოჰანჯანიანების ეზოში თავი მოეყარათ გზირს, მამასახლისს, პრისტავს და სხვა მოხელეებს. ტერტერა ტერ-მარტიროსი საეკლესიო სამოსში გამოწყობილი იდგა, ჯვარი ეჭირა და წყევლა-კრულვას უთვლიდა ხმატისკენ მყოფთ. განუწყვეტლივ ირეოდნენ შეიარაღებული ჯარისკაცები, გაბრაზებულნი, თვალებამდვრეულნი. მე შიშისაგან გაქცევა დავაპირე, რომ ჩვენს გამოქვაბულში დავმალულიყავი, მაგრამ, როცა დავინახე ბებია კოჭლი ოჰანჯანის სახლში შეიყვანეს,—უკან გამოვედევნე.

იმ აუარებელ ხალხში ბებია მაინც კარგად მოჩანდა. თავზე შალი აღარ ეხვია და მე პირველად შევამჩნიე, რომ ბებიას ახალმოსულ თოვლივით თეთრი თმა ჰქონდა.

ფატი გოკიელი ლექსს უკითხავს აკაკის.

პაწია მეგობრის ამბონეზე

ფაჯი გოკიელი

პატარაობიდანვე აკაკი იყო ჩემი საყვარელი მგოსანი. ზეპირად ვიცოდი ბევრი მისი ლექსი.

ერთხელ მამამ მომიტანა აკაკისადმი მიძღვნილი ცახელის ლექსი. ეს ლექსი ცახელს, ჩვენი ოჯახის მეგობარს, სპეციალურად ჩემთვის დაეწერა. მამამ მითხრა: «ისწავლე ზეპირად და აკაკის იუბილეზე ეტყვიო». მე მაშინ დაწერილი ასოების კითხვა არ ვიცოდი, დაბეჭდილს ვკითხულობდი მხოლოდ. ამიტომ მამამ ლექსი თავისი ხელით გადაწერა მსხვილი, ლამაზი ბეჭდურის მსგავსი ასოებით.

მე მყუდრო კუთხეში მოვიკალათე და ლექსიც სულ მალე გავიზეპირე...

აი, იუბილეს დღეც! ჩვენ, ბავშვები, მოგვრთეს და გამოგვიყვანეს წინა აივანზე, სანახაობის საცქერლად.

ქუჩები, აივნები, ბოძები, სახურავებიც კი ხალხით იყო გაჭედილი.

გამოჩნდა საზეიმო პროცესიაც. აი, აკაკის ეტლი სულ თეთრი ყვავილებით მორთული. ცხენების მაგიერ ყმაწვილები შებმიან და მიჰყავთ ეტლი. აკაკი დგას და ხალხს ესალმება.

მაშინ პირველად დავინახე აკაკი, მანამდე სურათებით ვიცნობდი მხოლოდ.

თუმცა ბავშვები დილით გამოვიდნენ მისალმებებით, ჩემი გამოსვლა რატომღაც საღამოსთვის გადაიდო. მთელი დღე ვღელავდი, ვიმეორებდი ლექსს.

საღამოთი მომრთეს და გვიან ღამით ქუთაისის თეატრში წამიყვანეს.

სცენაზე გამომიყვანეს და მეც ჩამაყენეს დიდ ქალებსა და კაცებს შორის, რომელთაც მილოცვით უნდა მიემართათ აკაკისათვის; ჩემზე რამდენიმედ წინ იდგა ჩემი მამა. იგი უნდა მისალმებოდა აკაკის ექიმების სახელით, ის შორიდან მიღიმოდა, ეშინოდა, რომ მე არ შევმკრთალიყავი ამ უჩვეულო გარემოში.

ჩემს უკან იდგა ერთი ჩვენი ნაცნობი მანდილოსანი; იგი უნდა მისალმებოდა აკაკის რომელიღაც საქველმოქმედო საზოგადოების სახელით. მან დაამშვიდა მამა და უთხრა: «თუ შეეშინდება, ხელს ვკრავ და წინ წავწევო». მე ჩემს გულში ძალიან ვიუკადრისე ეს სიტყვები, რადგან არაფრის მეშინოდა და ვიცოდი: მოვა თუ არა ჩემი ჯერი, უნდა წარვდგე და ლექსი დავიწყო.

აი, ფარდაც აიხადა. გადვიხედე— მახსოვს გაჭედილი დარბაზი. ჩვენს წინ აკაკია. ჩემი მისალმების ჯერიც მოვიდა. მე სწრაფად წინ წავდექი, რომ იმ მანდილოსანს არ მოესწრო ჩემთვის ხელის კვრა, და დავიწყე ლექსი. ჩემი ლექსი ხუთტაეპიანი იყო, მეოთხე ტაეპი ასე თავდებოდა:

გამკობს და გამკობს დიდებით
პოეტო, მთელი კავკასი!

ამ სიტყვებმა მქუხარე ტაში გამოიწვია, მე შევიცადე, სანამ ტაშისცემა დაწყნარდებოდა, და შემდეგ მეხუთე ტაეპიც ვთქვი, ჩავათავე ლექსი... ისევ ტაშის გრიალი...

მივედი აკაკისთან და გადავეცი საჩუქარი: დაფნით მოწნული ჩანგი. აკაკიმ ხელში ამიყვანა, მაკოცა და მუხლებზე დამისვა.

მშობლებმა ნება დამრთეს დავრჩენილიყავი ზეიმზე და უკანასკნელი განყოფილება მენახა.

უნდა განესახიერებინათ მოქმედი პირები აკაკის ნაწარმოებებიდან ცოცხალი სურათების სახით. ამ დროს დედას უთხრეს:

გუბერნატორს სურს ნახოს ის გოგონა, რომელმაც ეხლა ლექსი წარმოთქვაო.

მიმიყვანეს გუბერნატორის ლოჟის კართან და შემიშვეს მარტო. ლოჟაში მჯდომნი მეკითხებოდნენ რუსულად: ხომ არ შეგშინებია ამდენი ხალხის, რა შინაარსისაა ჩემი ლექსი და სხვ. მე, როგორც შემეძლო, პასუხს ვაძლევდი.

ფარდა კვლავ აიხადა. სცენაზე მოხდენილი ჯგუფებია აკაკის ნაწარმოებთა გმირებისა, შუაში კი—თვით აკაკი.

— Что это за девицы?—ირონიულად იკითხა გუბერნატორმა.

აბა, მე მაშინ რა გამეგებოდა, მაგრამ ინსტიქტურად რაღაც დამამცირებელი ვიგრძენი გუბერნატორის ამ სიტყვებში და დინჯად ვუპასუხე, რომ ეს ვიღაც «девицы» კი არა, აკაკის ლექსის «სიზმრის» განსახიერებანია—«ნინო, ქეთევან და თვით თამარი...»

გუბერნატორმა და მისმა მეუღლემ ერთმანეთს გადახედეს. ალბათ, არაფრად მოეწონათ ჩემი პასუხი.

ამ დღის შემდეგ აკაკიმ დაიპყრო მთელი ჩემი გულისყური და გადაიქცა ჩემ თაყვანსაცემ მგოსნად. მე ვამაყობდი იმით, რომ აკაკიმ მოისურვა ჩემთან სურათის გადაღება; როდესაც ჩვენთან მოდიოდა, დიდხნობით მესაუბრებოდა ხოლმე და ამბობდა, რომ მე და ის «მეგობრები ვართო».

მას შემდეგ აკაკი ხშირად გვესტუმრებოდა. ის არაფრით არ გვაგრძნობინებდა, რომ ჩვენ პატარები ვართ, რაც ასე ეჯავრებათ ბავშვებს. იგი თითქოს გვიტოლდებოდა ჩვენ, ბავშვებს, და მუდამ სერიოზული და გულწრფელი ინტერესით გვეკითხებოდა: რა ვისწავლეთ ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ, ან თუ მოხდა რაიმე ღირსშესანიშნავი ამბავი ჩვენს ცხოვრებაში, რა წავიკითხეთ, რა მოგვეწონა წაკითხულიდან.

როდესაც აკაკი გვესტუმრებოდა, უნდა მეთქვა მისთვის ზეპირად მისი ლექ-

---

აღარ მახსოვს, როგორ ავხტი ოჰანჯანის ეზოს კედელზე. იქ ბევრი ბავშვი იყო წამოსკუპული.

უცებ ბებია ოჰანჯანიანთ აივანზე გამოჩნდა, მაგრამ ვიღაცამ თმებში წაავლო ხელი და ისევ ოთახში შეითრია.

— ნეტა ამ მოხუცებულ დედაკაცისგან რა უნდათ? რას ეჭაჩებიან, რად აწამებენ? რა ცოდვა მიუძღვის?— თქვა კედელზე მიყუდებულმა ერთმა დედაკაცმა და ცხვირსახოცი მიიფარა თვალებზე.

— თუ ვაჟკაცები არიან, აი, იქ წავიდნენ, ხმატის მთის კალთებისკენ, იმათ გასცენ პასუხი, თორემ ამ უბადრუკ, უმწეო ბებრისგან რას გამოელიან?— გამოეხმაურა მეორე.

— ახ, დაწყევლილებო!

თუმცა დედაკაცები ძალიან ხმადაბლა ლაპარაკობდნენ, მე მაინც მივხვდი, რომ ხმატის მთის მიდამოებიდან თოფის მსროლელი მამაჩემი იყო და ბებიაჩემსაც ამიტომ სტანჯავდნენ. „ვაიმე, ბებიჯან,— გავიფიქრე,— რომ დაგაპატიმრონ, მე რა მეშველება?“ ამის გაფიქრებაზე გულში ფარული ტკივილი ვიგრძენი და მწარედ ავქვითინდი. მაგრამ ქვევიდან ვიღაც გრძელულვაშამ მათრახი მოგმიქნია და ხმა ჩავიკმინდე.

ბებია კვლავ გამოჩნდა აივანზე, პირისახე სულმთლად ჩასისხლიანებული ჰქონდა, გულმკერდი იარებით დადარული. იგი ძლივს იდგა ფეხზე. უეცრად ხელები გაასავსავა, მაღლა აღაპყრო და საზარელი ხმით წამოიყვირა:

— მოდი, შვილო ბებედნაკ, მოდი, გენაცვალე, და დედაბუდიანად ამოთაქე ამ წყეული კოჭლის ბინძური ბუდე!

ბებიას აღარ დასცალდა სხვა რამის თქმა: კოჭლმა ოჰანჯანმა ხმალი დასცხო თავში.

ეზოში შეგროვილმა ხალხმა უკან-უკან დაიხია, დედაკაცებმა საზარლად შეჰკივლეს და გაიქცნენ.

— ერის მოღალატე არ უნდა გადარჩეს,— მთელი ხმით წამოიყვირა კოჭლმა ოჰანჯანმა და მოღუნული პრიალა ხმალი კიდევ ერთხელ ჩასცხო ბებიაჩემს თავში. პირველ დარტყმაზე ბებიამ ხელები წაიკრა თავზე, მეორე დარტყმამ საცოდავ დედაბერს თითები წააცალა... კოჭლმა ოჰანჯანმა მესამედ დასცხო ბებიას ხმალი და აივნიდან ძირს გადმოანარცხა.

სწორედ ამ დროს ხალხის ლიანგიდან საშინელი ღმუილი მოისმა და აივანზე მუნჯი ჰამაზი გაჩნდა. მას პირისახე ჩაშავებოდა, გაფითრებული თვალები გადმოკარკლოდა... მან მოკლე ნახტომით ისკუპა, კოჭლ ოჰანჯანის წინაშე დაერჭო და რკინის კეტი თავში დასცხო.

— ახია, — ხალხში გაისმა ყრუ ხმები.

კოჭლ ოჰანჯანს ხმა არ ამოუღია, უსულოდ ძირს გაიშხლართა...

კოჭლის ერთ-ერთმა ბიჭმა რევოლვერი იშიშვლა, ჰამაზს დაახალა. მუნჯს ხელკეტი გაუვარდა, მოჭრილ ხესავით შეტორტმანდა, ისიც ბებიას გვერდით გაიშხლართა...

ვიღაცამ სწრაფად ჩამომიყვანა კედლიდან და წამიყვანა... ამის შემდეგ, თუ რა მოხდა ოჰანჯანიანთ ეზოში, აღარ მახსოვს.

* * *

მხოლოდ ხუთი დღის შემდეგ, როცა სოფელში თოფის სროლის ხმა აღარ ისმოდა, და სოფლის მოედნის მაღალ ბოძზე წითელი ალამი ფრიალებდა, მაშინ ამომიყვანეს თონიდან. იქ დავემალე კეთილ ადამიანებს. ამომიყვანეს და მამას მიჰგვარეს ჩემი თავი.

ბებიაჩემი და მუნჯი ჰამაზი ამ სოფლად აღარ იყვნენ. ისინი ერთმანეთის გვერდით დაემარხათ წლოკის სასაფლაოზე...

დაემარხათ... მაგრამ ჩემს მეხსიერებაში მუდამ წარუშლელად დარჩება ხუჭუჭთმებიანი, მზისგან გარუჯული მუნჯი ჰამაზი, რომელსაც ჩემთვის პური და ყველი მოჰქონდა, ჩამოჯდებოდა ჩვენი გამოქვაბულის წინ, თავს ბებიას მუხლზე დადებდა და მუნჯური სიბრძნით გაჰყურებდა საღამოს ნისლით დაბურულ მთებს...

თარგმანი
აარჩილ და ივანე დავითიანებისა

სები. უფრო ხშირად მათქმევინებდა და უყვარდა: „განთიადი“, „სიზმარი“, „დის სიმღერა“. „მე გოგია მისთვის მიყვარს“.. „გაზაფხული“ („გაზაფხულდა ბუჩქის ძირას“), „გაზაფხული“, („დღეს მერცხალი შემოფრინდა“) „მიყვარს როდესაც ხატის წინ“, „ზღვა“ და ა. შ.

ერთხელ აკაკი გვეწვია თავისი ვაჟით, რომელიც რუსეთიდან ჩამოსულიყო.

— გაიცანი, ფატი! ეს ჩემი ვაჟია, მაგრამ,—დაუმატა აკაკიმ სევდიანი ღიმილით,—ქართული არ იცის. უთხარი რამე ლექსი რუსულად!

მე ვიგრძენი, რომ აკაკის სწყინს მისი ვაჟის მიერ ქართულის უცოდინარობა. აღშფოთდი და მოვინდომე შური მეძია მის შვილზე, რადგან მან გაბედა და ტკივილი მიაყენა აკაკის. გავიხსენე ჩემი რუსული ლექსების „რეპერტუარი“ და შევჩერდი ლერმონტოვის ლექსზე Тучи, როცა ამ ლექსის ორი უკანასკნელი სტრიქონი წარმოვთქვი:

„Вечно свободные, вечно холодные,
Нет у вас родины, нет вам изгнания!“

თვალი ალექსის გავუსწორე, მერე აკაკის შევხედე და მის თვალებში ცრემლები დავინახე. ეს კი მეტის-მეტი იყო: გამოვიდა, რომ „შურისძიების“ მაგიერ მე ისევ ჩემს სათაყვანებელ აკაკის ვაწყენინე. ატირებული გავიქეცი მეორე ოთახში. არავითარმა ხვეწნამ არ გასჭრა, სტუმრებთან გამოსვლა აღარ მინდოდა, ჩემი თავის მეტე მრცხვენოდა. მაგრამ თვით აკაკი შემოვიდა, მომიალერსა და მითხრა:

— აი, ეხლა ვნახავ, გაქვს თუ არა ჩემი ხათრი.—მომკიდა ხელი და ისე გაგვედით სტუმრებთან.

აკაკი ხშირად ხუმრობდა ხოლმე. ერთხელ, სადილის შემდეგ თხილს შეექცეოდა და კბილებით სტეხდა. ჩუმად თხილის სატეხი წინ დავუდე. უკან დამიბრუნა.

— ეს შენისთანა უკბილოებისთვისაა გამოგონილი (მე მაშინ კბილებს ვიცვლიდი), მე არ მესაჭიროებაო.

მახსენდება კიდევ: სახლში მასწავლეს მისალმების დროს რევერანსის გაკეთება, მისალმების დროს აკაკისაც რევერანსი გავუკეთე.

— იცი, რას გეტყვი? მე მხოლოდ თავი დამიკარი და ხელი ჩამომართვი. ეგ ვირის ტლინკები რომ გისწავლია, სხვებს მიაყარე. ჩემთვის კი ნუ შეწუხდებიო.

ის დღე იყო და ის, მე აღარავის მივსალმებივარ რევერანსით.

... უკვე სასწავლებელში დავდიოდი. აკაკი ავად იყო. მამა ხშირად ნახულობდა მას სხვატორში, მკურნალობდა.

აკაკი მალე მორჩებაო.

ერთ დღეს, სკოლიდან რომ დავბრუნდი, შევამჩნიე, რომ სახლში ყველა თვალცრემლიანია.

მამამ მომხვია ხელი, მაკოცა და მწუხარედ მითხრა:

— აკაკი გარდაიცვალა.

შეხვედრები აკაკისთან

ნიკოლოზ ქღენჯი

აკაკი ბევრჯერ მინახავს მოწაფეობის დროს ქ. ქუთაისში, სადაც მე ვსწავლობდი მეფის დროს ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში.

როგორც ცნობილია, იმ დროს ორი ქართული გიმნაზია იყო საქართველოში—ერთი ქ. ქუთაისში მეორე კი თბილისში, რომლებსაც შეფობას უწევდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები, როგორც ეროვნულ განმანათლებელ კერებს. ამიტომ იყო, რომ აკაკი ხშირად მოდიოდა ჩვენს გიმნაზიაში.

გიმნაზიაში აკაკი მოდიოდა თითქმის ყოველთვის დიდი შესვენების დროს, რომელიც იწყებოდა სამი გაკვეთილის შემდეგ და გრძელდებოდა 30 წუთს.

აკაკის მოსვლას მასწავლებლები ადრე გებულობდნენ, რადგან ბავშვები აკაკის გამოჩენისთანავე ატეხდნენ ჟრიამულს—„აკაკი მოდის, აკაკი მოდის“..

ერთხელ აკაკი სამასწავლებლოდან გამოსული ერთ თანმხლებ პირთან ერთად შევიდა გიმნაზიის ეზოს თავში, ქუჩის პირას მდებარე ერთსართულიან პატარა სახლში.

ჩვენ, უფროსი კლასის მოწაფეები, დავინტერესდით გაგვეგო, თუ რა კავშირი ჰქონდა მას იმ სახლთან და გავიგეთ, რომ იმ სახლში ცხოვრობდა აკაკის მეგობარი და ამხანაგი—საზოგადო მოღვაწე გ. ზდანოვიჩი. აკაკი იქ დიდხანს დარჩა. ჩვენ გაკვეთილები გაგვითავდა და შინ მივდიოდით, მისი ეტლი ისევ ზდანოვიჩის სახლთან იდგა.

არასოდეს არ დამავიწყდება და დღესაც თვალწინ მიდგას მე ის სურათი, როდესაც აკაკი ჩვენს გიმნაზიაში მოდიოდა და მას გიმნაზიის დირექტორი ი. ოცხელი ხვდებოდა და ეგებებოდა ეზოშივე და მიყავდა სამასწავლებლოში. ი. ოცხელი ზორბა ტანადობის და მომხიბვლელი სახის იყო. მასთანვე დინჯი. მათი შეხვედრა ორი დეკ-გმირის შეხვედრას გავდა. აკაკი იმ ხანებში უკვე 70 წლისა იყო. მას მსხვილი ჯოხით ხელში სიარული უყვარდა. თავისი ახოვანებითაც და შემდეგ თავის ასაკითაც აკაკი უკვე დამძიმებული იყო, მაგრამ სიარული წელში გამართული იცოდა, ნელი, დინჯი ნაბიჯებით.

თეთრი წვერ-ულვაშით დაფარული სახე, ბიბლიურ იერს აძლევდა მას და ვისაც კი იგი უნახავს უკანასკნელ ხანებში, არ შეიძლება დიდი მადლობით არ მოიგონოს გამოჩენილი სკულპტორი ი. ნიკოლაძე, რომელმაც დიდი ხელოვნებით გამოკვეთა აკაკის სახე.

გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მე კიდევ ორჯერ მქონდა ბედნიერება მენახა აკაკი.

პირველად — 1913 წელს, როდესაც აკაკი მოსკოვში მოვიწვიეთ ქართველმა სტუდენტობამ და მოსკოვის ქართველმა საზოგადოებამ.

ეს იყო 1913 წლის იანვარში.

ქართველი სტუდენტები მას სადგურზე დავხვდით. ის ჩამოხტა სასტუმროში, სადაც ინახულეს ქართული საზოგადოების წევრებმა: კ. მარჯანიშვილმა, რომელიც იმ დროს მოსკოვში მუშაობდა, ზ. ფალიაშვილმა, რომელიც მოსკოვში იყო ჩამოსული, პროფ. ღამბარაშვილმა, მ. ზანდუკელმა, ჯავახიშვილმა და სხვ. (აკაკის მაშინ თან ახლდა მისი შვილი ა. წერეთელი).

ქართველმა სტუდენტობამ და ქართველმა საზოგადოებამ ბანკეტი გაუმართეთ აკაკის. ბანკეტი გრანდიოზული იყო. მასში იღებდა მონაწილეობას 200-მდე კაცი.

რუსეთის საზოგადო მოღვაწეებიდან ბანკეტს ესწრებოდნენ: ცნობილი რეჟისორები სტანისლავსკი და ნემიროვიჩ-დანჩენკო, მსახიობები: ერმოლოვა, იაბლოჩკინა, კნიპერ-ჩეხოვა, კომპ. იპოლიტოვ-ივანოვი, პოეტი ვ. ბრიუსოვი, მწერლები ბობორიკინი და ტელეშოვი და სხვები, აგრეთვე, პირადად აკაკის ნაცნობები.

აკაკის მოსკოვში ჩამოსვლამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა მოსკოვის პრესაში, მისი მოღვაწეობა ფართოდ იყო გაშუქებული გაზეთების ფურცლებზე.

აკაკი ბანკეტზე ადრე მოვიდა.

მოსვლისთანავე ის სპატიო პირებმა მიიყვანეს და ჩასვეს სავარძელში. მის გარშემო ფეხზე იდგნენ ქართული სათვისტომოს წევრები.

ხალხი თანდათან მატულობდა, მაგრამ წესრიგი არ ირღვეოდა. როდესაც სპატიო პირების მიღება დამთავრდა, ჯერი სტუდენტობაზე მიდგა. აკაკი სავარძელში ჩამჯდარი ყველა სტუდენტს ხელს ხვევდა და გულში იკრავდა.

სულგანაბული უსმენდა ხალხი აკაკის.

შემდეგ დაიწყო ბანკეტი. ბანკეტს ხელმძღვანელობდა და თამადობდა სამპერატორო მცირე დრამატული თეატრის დირექტორი ა. სუმბათაშვილი (იუჟინი).

სუფრის განლაგება ასეთი იყო: აკაკის ერთ გვერდზე სიყრმის—სტუდენტობის დროის ნაცნობი რუსის ქალი იჯდა, მეორე გვერდზე კი, სტანისლავსკი და შემდეგ მოწვეული რუსი საზოგადოების წარმომადგენლები. მათ პირდაპირ—ქართველი სტუმრები, შემდეგ გარეშე სტუმრები და ბოლოს ქართველი სტუდენტობა.

შესანიშნავი იყო თამადობა ა. სუმბათაშვილისა. აკაკის მან საუკეთესო სიტყვა მიუძღვნა. მოკლედ გააცნო საზოგადოებას მისი დიდი ნაყოფიერი მოღვაწეობა და უსურვა, როგორც ქართველი ერის დიდ მოამაგეს და საუკეთესო შვილს,—ხანგრძლივი სიცოცხლე.

ტაშის გრიალი, რომელიც რამდენიმე წუთი გრძელდებოდა იქაურობას ანგრევდა. ყველანი ფეხზე იდგა. შემდეგ აკაკის სიტყვით მიმართა სტანისლავსკიმ, იპოლიტოვ-ივანოვმა, პოეტებმა ვ. ბრიუსოვმა, გილიაროვსკიმ, მწერალმა ტელეშოვმა, შემდეგ ქართული სათვისტომოს წევრებმა და ბოლოს ქართველმა სტუდენტობამ. ქართველი სტუდენტები სიტყვის დამთავრების შემდეგ მიდიოდნენ აკაკისთან, აკაკიც ხელს ხვევდა მათ და კოცნიდა შუბლზე. ამ სურათმა დიდი შთაბეჭდილება დასტოვა განსაკუთრებით პოლონელ სტუდენტებზე, რომელნიც აკაკის ბანკეტზე დავისწარით. იმ დროს ბევრი პოლონელი სწავლობდა მოსკოვში და მათ ჩვენთან ძალიან მჭიდრო კავშირი ქონდათ.

შესანიშნავი იყო აკაკის საპასუხო სიტყვა.

მისი სავარძლიდან წამოდგომა და ყოველივე ხმაურის შეწყვეტა ერთი იყო. ყველანი თითქოს ადგილზე გაშეშდნენ. სრულიად შეწყდა სუფრის მომსახურეობაც.

აკაკიმ პირველად დიდი მადლობა უძღვნა დამსწრე რუს საზოგადოებას—მწერლებს, ხელოვნების მუშაკებს, ინტელიგენციას გულთბილი მიღებისთვის და თქვა, რომ შორს არ არის ის გაზაფხული, რომელიც თავისი ცხოველმყოფელი სხივებით გაგათბობთ არა მარტო თქვენ, არამედ ჩვენც, განაპირა ქვეყნებსაც, მე მჯერა, რომ მალე მოვა ახალგაზრდა რუსეთიო. ამის შემდეგ აკაკიმ ბევრი ილაპარაკა სამშობლოს სიყვარულზე.

მეორედ აკაკი 1914 წელს ვნახე ისევ მოსკოვში, როდესაც მან პეტროგრადიდან ჩამოიარა, სადაც ის ცოლშვილში ყოფილიყო. პირველი იმპერიალისტური ომი დაწყებული იყო. აკაკის ჩამოსვლა მოსკოვში ჩვენ გავიგეთ პოეტ ნ. ჩხიკვაძის მეშვეობით. აკაკი სასტუმროში იყო ჩამომხტარი და ჩვენ ქართული გიმნაზიის ყოფილმა რამდენიმე მოწაფემ: სიმონიკა წერეთელმა, ნიკოლიჩა აბესაძემ, ბეგლარ ფალავამ, სიმონ და შალვა ხუნდაძეებმა, ნოე ჩხიკვაძემ, ტიციან ტაბიძემ და მე—მოვილაპარაკეთ, რომ გვენახა აკაკი. მივედით სასტუმროში დათქმულ დროს—საღ. 8 საათზე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ აკაკის ეძინა და რომ არ გაგვეღვიძებია, დაველოდეთ. სხვათა შორის, მე და სიმონიკა წერეთელი იმ დროს ვლადიმერ მაიაკოვსკის ბინაში ვცხოვრობდით ვლადიმროდოლგორუკოვის ქუჩაზე, სადაც ერთი ოთახი გვქონდა დაქირავებული და, როდესაც ვალოდიამ გაიგო, რომ აკაკი იყო ჩამოსული და ჩვენ მასთან მისვლას და ნახვას ვაპირებდით,—შეგვეხვეწა რომ ისიც წაგვყვანა. დავპირდით წაყვანას, მაგრამ დათქმულ დროზე ვერ მოვიდა და წავედით უმისოდ.

აკაკიმ დაწვრილებით გამოგვკითხა სათითაოდ, თუ რომელი კუთხიდან ვიყავით, მხოლოდ ს. წერეთელს და შ. ხუნდაძეს კითხა მამის სახელებიც და აღმოჩნდა, რომ მათ მამებს იცნობდა.

აკაკიმ განსაკუთრებული დაინტერესებით გამოგვკითხა, აგრეთვე, თუ რომელ ფაკულტეტს უფრო ეტანებოდა ქართველობა და რომ ვუთხარით რომ მეტწილად სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში შედიოდნენ და შემდეგ სამედიცინოსა, ფილოლოგიურ და იურიდიულ ფაკულტეტებზე, — ძალიან კმაყოფილი დარჩა.

1914 წლის ბოლო თვეებში მოსკოვში ჩამოვიდა ცნობილი საზოგადო მოღვაწე კ. აბაშიძე, რომელიც ვინახულეთ ქართველმა სტუდენტებმა და მან გვაცნობა, რომ აკაკი ხშირად ავადმყოფობდა და ლოგინში იყო.

ამის შემდეგ მას დიდხანს მაინც აღარ უცოცხლია.

ჩაის დღესასწაული

მოსე გვასალია

მატარებლით გალს რომ გასცდებით და მდინარე მოქვზე რკინის ხიდს ზანზარით გადაივლით, თვალწინ შესანიშნავი სანახაობა გადაგეშლებათ. ბექობებსა და სერებს, სანამ თვალი სწვდება, „მწვანე ოქროს“ აქოჩრილი მწკრივები მოსდებია. შიგადაშიგ ფართოფოთლებიანი ტუნგო ნაყოფით დახუნძლულა, მარადმწვანე ქარსაცავი ტყის ზოლები გარშემო საიმედო ციხეგალავნად აღმართულა. იმ უსასრულო სიმწვანეში რიგებს შორისღა მოჩანს მუქწითელი ნიადაგის ულევი კვლები, რომლებიც შორს, შორს, ჩრდილოეთში, კავკასიონის ლილისფერ კალთებს ებჯინებიან.

„აჩიგვარა“, აწერია კოხტა ბაქანზე. მატარებელი მუხრუჭებიდან გათავისუფლებული ჰაერის სისინით შეჩერდა.

აჩიგვარელებმა სახელოვნად შეასრულეს ფოთლის კრეფის წლიური გეგმა. დამატებით სამასი ტონის დამზადება იკისრეს. ამით საჰექტარო მოსავლიანობა წელს შვიდწლედის ბოლოსთვის გათვალისწინებულ დონეს მიაღწევს.

ამ გამარჯვებას მშვენივრად მოწყობილი სტადიონის მშენებლობის დამთავრებაც დაემთხვა. აჩიგვარელები თავიანთ გამარჯვებას ზეიმით აღნიშნავენ, უჩვეულო ზეიმით, რომელსაც თვითონვე დაარქვეს „ჩაის დღესასწაული“.

* * *

კოხტა გორებზე აქა-იქ ორსართულიანი მოქათქათე შენობები ჩამწკრივებულან. დასასვენებელი სახლები გეგონებათ. ეს მუშათა უბნებია. შორიდანვე ჩანს რადიოანძები, ელექტროხაზი, ბაღი, მოკირწყლული ქუჩები.

კანტორაც მწვანე ბექობზეა; აქვეა თეატრი, სასტუმრო, სასადილო, საცხოვრებელი ბინები.

საბარგო მანქანა პლანტაციებს შორის მიჰქრის. ჩვენ ძარაზე ვსხედვართ. კრიპტომერიას ტოტები ლაღად გაუშლია და გზის ზემოთ ნწვანე თაღი ისე შეუკრავს, შიგ მცხუნვარე მზეც ვერარ ატანს. ხეივანს ახალი ხეივანი მოსდევს,—უფრო სქელი, მაღალი და დაბურული.

უხუცესი მუშა, თომა კაკაჩია, მეურნეობის ჩამოყალიბების მოწმე, ამჟამად ბრიგადირი, გზადაგზა ათასჯერ გაწყვეტილ საუბარს განაგრძობს.

წინათ, თურმე, მთელი ეს მიდამო გაუვალ ეწერს წარმოადგენდა. გზიდან მოშორებით, უღრან ტყეში, სახლობდნენ ეწრის მფლობელნი: ტაგუ ზვანბაია და ალექსი მარღანია. ეწერში პირუტყვი ბალახობდა. საძოვრის საფასურად გადასახადი იყო დაწესებული. ზედნადებად გლეხებს მემამულეების გაუთავებელი სუფრა საკლავითაც უნდა უზრუნველეყოთ.

ეწერის შუაგული ტბა ბებეისირს ეკავა. ლელსა და წყალმცენარეებს დაეფარათ მისი ღრმად დაჭაობიანებული სანაპიროები.

ჭაობი მალარიის დაუშრეტელ ბუდეს წარმოადგენდა, იქაური უჟმური ზეზეულად ზაფრავდა ადამიანს.

... მოვიდნენ მშენებლები, ეწერი გაკაფეს, ჭაობი დააშრეს, ტბის სანაპირო პლანტაციებით დაამშვენეს.

თვით ტბაშიც ახალი ბინადრები გაჩნდნენ. ძვირფასბეწვიანი წავისებურთა ოჯახის მღრღნელი ცხოველი--ნუტრია, რომელიც სამხრეთ ამერიკიდან შემოიყვანეს.

— ეს იყო 1929 წელს. მახსოვს, რა გაოცებით შევყურებდით პირველ ტრაქტორებს.--ღიმილი დასთამაშებს სახეზე თომა კაკაჩიას,— ტრაქტორი ჩვენ არასოდეს გვენახა. ფოლადის ვაჟკაცები ტყეში ბუბუნით შეიჭრნენ, ხრაშუნით იფშვნებოდა ქვა და ქვიშა. იისფერ კვამლს ნაფაზებად ისროდნენ მაღლა.

მოზღვავდნენ სამუშაოს მაძიებელი გლეხები... საქართველოში ერთ-ერთი უდიდესი საბჭოთა მეურნეობისათვის 1953 ჰექტარი ფართობი შემოფარგლეს...

... ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ... და ახლა სულ სხვაა ახალი აჩიგვარა...

... აგერ მეორე განყოფილებაც. წინ მისი მმართველი, აგრონომი ვანო სექანია გვეგებება.

მწკრივებში კულტივაცია მიმდინარეობს. წვიმამდე სასუქი უნდა შეიტანონ. ათამდე ტრაქტორი ბუბუნით მისდევს მწკრივს. თბილისური მარკის ეს შესანიშნავი მანქანები პლანტაციას სარეველა ბალახებისაგან ასუფთავებს, ხნავს, ნიადაგს აფხვიერებს. გასხვლა, შეკრეჭა და სასუქის შეტანაც ამ მანქანებით წარმოებს.

— ზოგჯერ გვალვა აფერხებს ყლორტების ზრდას. ხომ ხედავთ!—ხელი გაიქნია ვანომ ჩვენს წინ მზეზე გაბრწყინებულ ტბისკენ,—ბებეისირი ხალხის სამსახურში ჩადგა. წყალი მანქანებით იქაჩება, ჩაის მწკრივებში მილებით შედის და მოწყურებულ ბუჩქებს თავზე შადრევნების შხაპუნით ესხმება. სამას ჰექტარამდე პლანტაცია გვალვის დროს ირწყვება.

აჩიგვარის მეურნეობაში გმირულ შრომასა და სწავლაში სახელოვანი ახალგაზრდობა წამოიზარდა.

— გაიცანით,—ამაყად გვეუბნება ვანო,—კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი მექსუდ თორია.

ტანმორჩილი, კუნთებით კარგად შეკრული, თმაქოჩორა ახალგაზრდაა მექსუდი. მზით დათუთქული მკერდი გაუღეღია, პერანგის სახელურები დაუკაპიწებია, ლაღად დაბიჯებს. თვითეულ ბუჩქს იცნობს აქ. გუმანითაც მიხვდება, სად რა არის საჭირო. ეს მან დაისაკუთრა გარდამავალი წითელი დროშა. მისმა ბრიგადამ გეგმის ზევით რვა ტონა ჩაი მოკრიფა.

ყველას ბევრი წაგვიკითხავს და გაგვიგონია სახელოვან მკრეფავ გოგონებზე. აქაც მრავლად არიან ისინი, მაგრამ, რატომღაც, ცოტა იწერება თმაქოჩორა ბიჭუნებზე, რომლებიც ზოგჯერ შრომით სასწაულებს ახდენენ. მექსუდის ბრიგადაში ყველაზე წინ ჭაბუკი მკრეფავი კოტე კონჯარია დაგვისახელეს.

დილა აჩიგვარის საბჭოთა მეურნეობაში.

ლამაზი ბიჭია კოტე, ახოვანი, შავგვრემანი. შავი თვალები თითქოს ნაკვერჩხლებს ყრიან. გრძლად დაყენებული შავი ულვაშები ჰშვენის მოხდენილ ახალგაზრდას. ერთი შეხედვით, თითქოს გინახავთ ეს ჭაბუკი სადღაც... დიდი ქალაქის ქუჩებში... თბილისში... სოხუმში... პროსპექტებზე... მაგრამ არა! კოტე არაფერში ჰგავს იმ ფუქსავატებს, რომლებიც ახალგაზრდობას ფუჭად ფლანგავენ.

კოტე კონჯარია, მაღალ ჩექმებსა და მოსასხამში სიმღერით მოდიოდა მწკრივებს შორის. ჩაის კრეფით გაშავებული და დაკოჟრილი გამრჯე მარჯვენა გამოგვიწოდა და ალალად გაგვიღიმა. ის აჩიგვარის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმს ამთავრებს და ინსტიტუტში შესასვლელად ემზადება. ოთხ ტონამდე მწვანე ფოთოლი მოკრიფა სამ თვეში, ათი ათასი მანეთი ფულად აიღო და მოხუც დედ-მამას სოფელში კარგად დაეხმარა...

ასეთები აქ ბევრია. სხვათა შორის, მეურნეობაში მეორე კოტეც ჰყავთ. ეს სეხნია გვარად გოგსაძეა. სოფელ მაიაკოვსკის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ აქ კომკავშირის ცეკას საგზურით ჩამოვიდა.

შუა დღის მცხუნვარებაში, კრეფის შემდეგ, ხშირად პოულობდნენ მას ამხანაგები კრიპტომერიის ჩრდილქვეშ, გადაშლილი წიგნით. სახელმოხვეჭილი ჭაბუკი ახლა სოხუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი განყოფილების პირველი კურსის სტუდენტია.

პისტი შენგელიამ საშუალო სკოლა ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ხაბუმეში დაამთავრა. სამუშაოდ აჩიგვარაში წამოვიდა. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში განაგრძო სწავლა. კრეფაში მოწინავე, სწავლაშიც მოწინავეა. ოთხი ტონა „მწვანე ოქრო“ მისცა სამშობლოს, გამოცდებიც წარმატებით ჩააბარა და ახლა IV კურსზეა.

ვინ არ იცნობს აჩიგვარაში ოცდაორი წლის შუშანიკ სარქისიანს, ახალგაზრდული ბრიგადის სულსა და გულს!

ერთ წუთს ვერ ნახავ მას დაწყნარებულსა და „დამდგარს“. ტანკენარი, შავთვალწარბა, კალმახივით გოგოა შუშანიკი. თვალს ვერ შეასწრებ მისი თითების უცნაურ ცეკვას ჩაის ბუჩქზე, რიტმიულად მიმოქრიან ისინი ნაზ ყლორტებს შორის და კალათა თითქოს ნიავის შემოქროლვით, ერთბაშად ივსება. შუშანიკმა შვიდ ტონამდე ფოთოლი ჩააბარა...

მკრეფავთა ძველი თაობა მხარში უდგას ახალგაზრდობას. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი მატრონა ლეონტიევა ახლა 41 წლისაა. 13 წლის კუდრაჭა გოგონა იყო, როცა აჩიგვარაში პირველად ჩამოვიდა და კრეფა დაიწყო.

— ბუჩქი მიწაზე ძლივს ჩანდა.—ღიმილით იგონებს მატრონა,—ხელში საზომად ჯოხი გვეჭირა, იმ ჯოხზე დაბალს, ხელს არ ვახლებდით. ოთხი კილო ფოთლის მოკრეფა დიდ მიღწევად გვეთვლებოდა. ახლა კი, ამ ზაფხულში, ექვსი ტონა მოვკრიფე და ჯერ შეჩერებას არ ვაპირებ. ახალგაზრდებს ვასწავლი და შეჯიბრშიც მყავს გამოწვეული...

* * *

შთაბეჭდილებებით დატვირთულნი, დღის სამ საათზე ჩვენ უკვე ახალ სტადიონზე ვიყავით.

ვრცელი, ლარივით სწორი მინდორი, სპორტულ მოედნებადაა დაყოფილი; ეს ადგილი დაჭაობიანებულ ველს წარმოადგენდა. ალაგ-ალაგ ნიადაგი ორ მეტრამდე აამაღლეს. დიდძალი ხრეში შემოზიდეს, წყალსაწრეტი არხები ბეტონით გადახურეს და ზემოდან მიწით მოზვინეს. ზედაპირზე ახლა მწვანე ბალახი ბიბინებს.

მცხუნვარე დღეა, მზით გაბრწყინებულ ცაზე ღრუბლის ნაფლეთიც კი არსად ჩანს. მტრედები გუნდ-გუნდად დაფრინავენ ჩვენს ზემოთ.

ვის არ შეხვდებით აქ? მეზობელ კოლმეურნეობებიდან მრავლად არიან სპორტსმენები, მოწინავე მკრეფავები. გუმისთის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობის მძლეოსნები, მოჭიდავენი, ფეხბურთელები და კალათბურთელები დღეს აჩიგვარელებს ეჯიბრებიან.

აჩიგვარელები სტუმრებს ადგილობრივ ჩაის ფაბრიკაში გაკეთებულ სურნელოვანი „ექსტრათი“ უმასპინძლდებიან.

— მიირთვით, ბატონო, გასინჯეთ ჩვენებური ჩაი, დღეს „ჩაის დღესასწაულია“,—დაჟინებით გთავაზობენ თეთრხალათიანი გოგონები ფაიფურის ტოლჩებს. შრომის სიმღერა, პლანტაციებში რომ ითქმება, სტადიონის ერთი კუთხიდან მეორეში გუგუნით გადადის.

ფიზკულტურელები მაღლა აწეული მოფრიალე დროშებით შემოდიან. წინ ჯანმაგარი მოზრდილები მოაბიჯებენ, სულ ბოლოს ყვავილებით დატვირთული ნორჩები.

ტაშის გრიალსა და „ვაშას“ ძახილში ანძაზე მაღლა მიიწევს წითელი დროშა. სტადიონი გახსნილად ცხადდება.

შეჯიბრება ველოსიპედისტებმა დაიწყეს... მწვანე ხალიჩაზე ფოლადის კუნთებით შეკრული ათლეტები ერთმანეთს პირველობას ეჯიბრებოდნენ... მძლეოსნებს მოჭიდავეები ცვლიან... ფიცხელი შერკინება გაიმართა კალათბურთელთა მოედანზე, კალათბურთელები ფეხბურთელებმა შეცვალეს...

სულგანაბულ ტრიბუნებზე ტაშმა დაიქუხა, როცა ოქროსფერმა რაშებმა წინ ქარიშხალივით ჩაიქროლეს. პირველობა აჩიგვარელთა ცხენმა, საქართველოს 1959 წლის ჩემპიონმა „გაბარიტმა“ დაისაკუთრა, რომელსაც ოსტატურად მართავდა აჩიგვარელი რეზო ლაგვილავა.

... გვიან საღამომდე გაგრძელდა ცეკვა-თამაში, სიმღერა, სეირნობა.

როცა ბინდი ნელ-ნელა შემოეპარა ზურმუხტისფერ სერებს, ხოლო კავკასიონზე თეთრი ფთილები გაიფინა, მხოლოდ მცირე ხნით ჩამობნელდა აჩიგვარაში. უცებ იფეთქეს ლამპიონებმა და ღამეს შავი ფრთები შეატეხეს.

სახელმოხვეჭილი ჩაის მკრეფავი კოტე კონჯარია.



სტუმრებს უმასპინძლდებიან საკუთარი წარმოების „ექსტრათი“.

ფოტო მ. ტარასოვისა



ინგურის ჰიდროელადგური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემენტაციის საცდელი უბანი. მოწინავე მუშები ემელიან კიკვაძე და გული ჩიქოვანი.



ბევრჯერ, სვანეთის გზაზე მიმავალს, გამიგია:

— აი, სად უნდა აშენდეს ელსადგური! ასე საქმიანად და გამრჯე პატრონის თვალით განსაზღვრავდა ხოლმე გზადმიმავალი, როდესაც ინგურის კალაპოტში ქაფად და მეხად ქცეულ ტალღების ბორგვას შეხედავდა...

— აი, სად უნდა აშენდეს ელსადგური!—ამბობდნენ ჰიდროლოგები, როდესაც მდინარის წლიური დებიტის ცხრილებს გადახედავდნენ და მის დაქანებულ პროფილს თვალს გაადევნებდნენ...

— აი, სად უნდა აშენდეს ელსადგური!—ამბობდნენ ჰიდროტექნიკოსები, როდესაც კაშხალისათვის სახერხო ადგილს შეხედავდნენ და წარმოიდგენდნენ ასეული მეტრების სიმაღლეზე აზიდულ ბეტონის კედელს და ასეული მილიონ კუბურ მეტრობით დაგუბებულ ინგურის წყალსაცავს...

მაგრამ ეს მხოლოდ სურვილი და ოცნება იყო, მერე, ოცნება ჰიდროტექნიკურ სქემად გადაიქცა, მერე—პროექტის მონახაზად, მერე ინგურის ნაპირებს ეწვიენ უკვე ისინი, რომლებმაც უშუალოდ, ადგილზე უნდა შეისწავლონ, გამოიკვლიონ და საბოლოოდ დააზუსტონ ყველა ის ათასი მონაცემი, რომელიც სჭირდებათ ჰიდროელსადგურის დამპროექტებლებსა და მშენებლებს.

და აი, მეხუთე წელი ილევა, რაც ასეულ ადამიანებისაგან შემდგარი ექსპედიცია: გეოლოგები და მბურღავები, ჰიდროტექნიკოსები და ტოპოგრაფები, სამთო ინჟინრები და მეტეოროლოგები—რამდენიმე ათეული პროფესიის ადამიანები—გულდასმით ჩაჰკირკიტებენ ინგურის ნაპირების ყოველ სანტიმეტრს, ბურღავენ ჭებსა და აფეთქებენ გვირაბებს, და ზომავენ—ზომავენ მანძილებსა და ქანების სიმაგრეს, კალაპოტში მბორგავი ჭავლების სისწრაფეს, წუთში რომ ასეული მეტრებით განიზომება და ქანებში ჩაჟონილ წყლის ოდნავ შესამჩნევ დინებას, წელიწადში რომ სანტიმეტრობით აღირიცხება. ზომავენ წყალში ატივტივებული დაქუცმაცებული ქანების რაოდენობას—საიდანღაც შხარის დანგრეული ქარაფებიდან რომ მოაქვს მდინარეს და ნაპირებთან მისილული ჭოროხების სისქეს... ზომავენ და აღრიცხავენ, რომ ყოველივე ეს მონაცემები მწყობრ ცხრილებადა და ნახაზებად ქცეული, საფუძვლად დაედოს დამპროექტებლების გაანგარიშებას, იქცეს ნახაზებად და გრაფიკებად...

ტოპოგრაფები მკვლევართა მოწინავე რაზმში არიან.
ა. კუზურმანი მომავალი კაშხალის ადგილს განსაზღვრავს.

ცხოვრებამ შესცვალა პროექტის შედგენის ოდითგანვე დადგენილი საფეხურები: კვლევა-ძიება—სქემატური მონახაზები—საპროექტო მოცემულობა—ტექნიკური პროექტი—სამუშაო ნახაზები—ახლა კვლევა-ძიებასთან ერთად სდგება საპროექტო მოცემულობა. დაიწყება მშენებლობა და პარალელურად იწარმოებს დაპროექტება და სამუშაო ნახაზების დამუშავება.

ახლა ინგურის საძიებო ექსპედიციაში დაძაბული მუშაობაა. დამპროექტებლებმა უკვე დაასრულეს საპროექტო მოცემულობა და მაძიებლებს ყველაფერი მზად უნდა ჰქონდეთ მშენებლობის დასაწყისისათვის.

თავის ცხოვრების განმავლობაში ექსპედიციის უფროსის მოადგილეს და მთავარ ინჟინერს ალექსი ანდღულაძეს ბევრჯერ განუცდია ის წუთები, როდესაც მხსი ნამუშევარი მშენებლების ხელში გადადის... მშენებლები ყოველთვის ოდნავ ეშვის თვალით უყურებენ მკვლევართა მონაცემებს და მკვლევარიც ცდილობს, რაც შეიძლება ზუსტი და ზედმიწევნით შემოწმებული ცნობები მოაწოდოს მშენებელს... მაგრამ გადის დრო, ელსადგურის ნაგებობას იბარებენ ექსპლოატაციის დარგის მუშაკები, და მკვლევარს შეუძლია სიამაყით მოიგონოს, რომ მის მონაცემთა საფუძველზეა აგებული ეს ელსადგური.

ალექსი ანდღულაძის „შრომების სიაში“ შეგიძლიათ უკანასკნელი ათეული წლების საქართველოს ჰიდროენერგეტიკის ისტორია ამოიკითხოთ: გუმათჰესი და შაორჰესი, ორთაჭალჰესი და ბჟუჟაჰესი, ლაჯანურჰესი და...ახლა – სომხეთისა და აზერბაიჯანის ელსადგურები... ახლა—ჯერ განუხორციელებელი დარიალჰესი და კიდევ მრავალი სხვა.

საქართველოს ჰიდრომშენებელთა კოლექტივში მკვლევარ-მაძიებლებს საპატიო ადგილი უჭირავთ და ინგურის ექსპედიციაც ყველა ძალღონეს ხმარობს, რომ არავის დაუთმოს პირველობა. მკვლევარებს მრავალ ადგილას უმუშავნიათ და ექსპედიციის კოლექტივს ყველა ამ ადგილთა მკვიდრები შემორჩენიან—ვახტანგ ფიცხელაური—თერგის კვლევის შემდეგ შეუერთდა ექსპედიციას, ივანე ჩრიკიშვილმა—გარეკახეთში დაიწყო მბურღავობა, ვახტანგ მზეკალაშვილი ორთაჭალჰესის კვლევის შემდეგ აღარ მოშორებია მკვლევარებს...

— აქაც, სამეგრელოში, ბევრი ახალი ხალხი შევიძინეთ,—ამბობს ექსპედიციის უფროსი როსტომ მძინარიშვილი—არსენ თორდუა საუკეთესო მბურღავი გახდა, ჯვარელებმა პეტრე გულორდავამ და კარლო ქარდავამ საუკეთესოდ აითვისეს ჩვენი პროფესიები... მრავალი კილომეტრის მანძილზეა გაჭიმული ექსპედიციის სამუშაო ფრონტი—ინგურზე, ოლორზე და ერის წყალზე... მკვლევარები ამბობენ:

აი, აქ აიგება კაშხალი—ყველაზე მაღალი კაშხალი საბჭოთა კავშირში.

აი, აქ იქნება ინგურის საგუბარი—რომელიც ხუთ თბილისის ზღვას დაიტევს თავის კლდოვან კალაპოტში.

აი, აქ იქნება უგრძესი სადაწნეო გვირაბი—რომლითაც ინგურის წყალი მიისწრაფება მთების გულში – შემდეგ კი თითქმის ნახევარი კილომეტრის სიმაღლიდან ჩანჩქერად ეტაკება უმძლავრეს ტურბინებს და მილიონ კილოვატ ენერგიას მისცემს ჩვენს სამშობლოს...

ეს უკვე ოცნება აღარ არის და, როდესაც სვანეთის გზაზე მიმავალი მგზავრი გადახედავს ინგურის მშფოთარე ტალღებს, მან იცის ამ უმიზნო ბორგვას მალე მოეღება ბოლო:

აქ აშენდება ელსადგური!

მერაბ მელითაური

ექსპედიციის ხელმძღვანელთა თათბირი ხშირად ასე სახელდახელოდ იმართება (მარცხნიდან) ექსპედიციის უფროსი რ. მძინარიშვილი, ინჟინერი—დამპროექტებელი ვ. ჯაფარიძე, უფროსი გეოლოგი ვ. კორძაძე, მთ. ინჟინერი ა. ანდღულაძე.

ვერდის ოპერა „ბალ-მასკარადის“
კოსტიუმის ესკიზი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძველი თბილისი

ქართული ნატურმორტი

პეიზაჟი წითელი სახლით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პრაღა

მილანი



მარკ ტვენის ნაწარმოების
„ტომ სოიერის“ ილუსტრაცია.

კახეთი. ზამთარი



შატილი

ელენე ახვლედიანის სურათების გამოფენა

იმდენად ფერადოვანია საქართველოს ბუნება, იმდენად თვალწარმტაცად დახატული და „დეკორატიულიც“, რომ შეუძლებელია მას თავისი მომღერალი არ ჰყავდეს. მიუხედავად ამისა, შოთას, ილიას, აკაკის, ვაჟასა თუ გალაქტიონის სამშობლოში ძნელად თუ დავასახელებთ მათ სადარ ისეთ მხატვარს, რომელსაც საქართველოს ბუნება, მისი თავისებურება, ფუნჯისა თუ პალიტრის საშუალებით მთელი ძალით ამეტყველებინოს. მით უფრო საყურადღებოა საქართველოს სსრ სახალხო მხატვრის ელენე ახვლედიანის შემოქმედება, პოეზიითა და რომანტიულობით აღსავსე მისი მრავალრიცხოვანი პეიზაჟები, რომელნიც ფიროსმანისა და დავით კაკაბაძის გულისჩამწვდომ მხატვრულ ტილოთა გვერდით, სიყვარულს გვიღვივებენ მშობლიური გარემოს მიმართ, ამახვილებენ ყურადღებას მის უსასრულო მრავალსახიერებაზე.

საქართველოს წარსული დიდების ნაშთად შემორჩენილი ძეგლები და ნანგრევები, განახლებული, მზიური ქვეყნის ხვავიანი ველ-მინდვრები, ხნულები და ხარაჩოები, სიღნაღისა და თელავის პანორამები, ბულაჩაურის, რუსთავისა თუ სამგორის მშენებლობები, დედა-ქალაქის ახალი ხედები და ძველი თბილისის განსხვავებული კოლორიტიანი კუთხეები, და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენი სხვა რამ ამეტყველებს მხატვრის მადლიან ფუნჯსა და კალამს.

ბუნების გულითადი მომღერალი, ელენე ახვლედიანი, არც უცხო მხარეთა მიმართ რჩება გულცივი. პარიზის მუშათა უბნების უღიმღამო ჭუჩები, უკრაინის ფერჭარბი პეიზაჟები, ესტონეთის ინტიმურობით მოცული ქალაქები, ჩეხოსლოვაკიის ქალაქების, განსაკუთრებით, პრაღის, ერთმანეთთან მიჭრილი, „დახუნძლული“ და ერთ მთლიან არქიტექტურულ ანსამბლად აღქმული სახლების სახურავები, მხატვარს ფერწერასა თუ გრაფიკაში შესაფერის სხვა და სხვა მანერით, მაგრამ ერთნაირი სიძლიერით აუმეტყველებია.

ელენე ახვლედიანის თვითეული პეიზაჟი ადამიანის მდიდარი სამყაროა ესთეტიკურად ლამაზი, შინაარსიანი და მხატვრის სიყვარულით გამთბარი, ხოლო ამ პეიზაჟთა ფერები, მათი ხმიანობა, არა მარტო კოლორიტისა და კომპოზიციის თავისთავადი ფაქტორია, არამედ მხატვრის ნაფიქრის, მისი განწყობის და მსოფლმხედველობის უტყუარ სარკესაც წარმოადგენს. ამასთან, ევროპული დიდი კულტურის მქონე რეალისტი მხატვრის დეკორაციულობით აღსავსე პეიზაჟებს საფუძვლად თვით საქართველოს ბუნება, მისი მიწა-წყალი და ტრადიციები დასდებია, მხატვრის მიერ უშუალოდ შეთვისებული.

ერუდიციითა და გემოვნებით ჰარბად დატვირთული მხატვარი თავისუფლად სწვდება ფერწერის, გრაფიკისა და თეატრალური მხატვრობის ყოველგვარ არეს, ხოლო რაც დრო გადის, მით უფრო ნაყოფიერი, დახვეწილი და ხალისიანი, ახალგაზრდულად ახმიანებული ხდება მისი შემოქმედება, რასაც ნათლად მოწმობს ნამუშევრების ვრცელი, მეტად საინტერესო გამოფენა, მისი დიდი მხატვრული გზის ერთი მონაკვეთის შემოქმედებითი ანგარიში.

გულნარა ჯაფარიძე



ზღაპარი „ქალ-პეპელას“ ილუსტრაცია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარანი

ვენეცია

დეკორაციის ესკიზი ნ. ანტონოვის პიესისათვის
„მზის დაბნელება საქართველოში“

1

3

4



2

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტის მოყვარულებმა იციან, რომ სხვადასხვა ფერის ხუთი გადაჯაჭვული რგოლი, რომლებიც გამოსახავს დედამიწის ხუთ კონტინენტს, ოლიმპიური თამაშების ემბლემას წარმოადგენს. მაგრამ, მას შემდეგ, რაც იტალიის დედაქალაქი რომი არჩეული იქნა XII ოლიმპიური თამაშების ადგილად, ამ ემბლემას დაუმატეს „მარადიული ქალაქის“ ღერბი—ძუ მგელი, რომელმაც ლეგენდის მიხედვით გაზარდა რომის დამაარსებლები—რემი და რომული. მაგრამ ტრადიციების მოყვარულმა რომაელებმა ძუ მგელი „შეინარჩუნეს“ არა მარტო ღერბის გამოსახულებაში—ალბათ, ბევრმა არიცის, რომ კაპიტოლიის მთაზე, გალიაში, დაძრწის ცოცხალი ძუ მგელი, ლეგენდარული წინაპრის სიმბოლო და მრავალრიცხოვან ტურისტთა ყურადღებას იპყრობს (ფოტო № 1.).

* * *

... იმ დღეს ოლიმპიური სტადიონი უზარმაზარ სკასავით ხმაურობდა—ტარდებოდა ოთხი, ერთი მეორეზე საინტერესო და დაძაბული ფინალი. ჩრდილოეთ ტრიბუნის სექტორთან სიმაღლეზე ხტომის ოსტატები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ლარტყა ნელნელა მიცოცავდა სულ მაღლა და მაღლა. და რაც უფრო მცირდებოდა მონაწილეთა რაოდენობა, მით უფრო იზრდებოდა მაყურებელთა ყურადღება ამ სექტორისადმი. თუმცა, არც ისე საშიში იყო საინტერესო მომენტის გამოტოვება—როგორც კი ხტომისათვის მოემზადებოდა რომელიმე ფავორიტი, რეპროდუქტორებიდან ხმამაღლა და გარკვევით ისმოდა—Atanzione! ყურადღება!

„ყურადღება! ხტება შავლაყაძე!“ აცხადებს დიქტორი და ირგვლივ ყველაფერი დავიწყებას ეძლევა. სტადიონზე ტალღასავით გადივლის გამაფრთხილებელი „სსუ“, რომლის შემდეგ სამარისებური სიჩუმე ისადგურებს. ამ სანახაობის გამოტოვება არ შეიძლება—შავლაყაძე ხომ ყველაზე იშვიათად ხტება; იგი მხოლოდ ერთ ცდას „ხარჯავს“ ყოველი ახალი სიმაღლის გადალახვისათვის. როდესაც იგი სუფთად გადაევლო 2 მ. 16 სმ. სიმაღლეს, ურწმუნოებმაც ირწმუნეს, რომ თომახის „ოქროს ტახტი“ შერყეული იყო.

მე ბედნიერება მხვდა წილად დავსწრებოდი ამ შეჯიბრებას და გადამეღო რამდენიმე ფოტოსურათი. აი, ერთ-ერთი მათგანი (ფოტო № 2) 2 მ. 9 სმ-ის სიმაღლეს ძლევს ჯონ თომასი, რობერტ შავლაყაძე ემზადება გადასახტომად.

გამარჯვებამ შავლაყაძე ერთ-ერთ პოპულარულ სპორტსმენად აქცია ოლიმპიურ რომში. მისი ავტოგრაფი ყოველი კოლექციონერის ოცნებად გადაიქცა.

* * *

ეს, არც ისე ახალგაზრდა, შებელატებული კაცი (ფოტო № 4) თუმცა არ მონაწილეობდა თამაშებში, მაგრამ დიდი პოპულარობით სარგებლობდა ავტოგრაფების მოყვარულთა შორის. ოლიმპიურ სოფელში, ავტობუსში, სტადიონის ტრიბუნებზე და სასადილოშიც კი, იგი ერთდაიგივე „სამუშაოს“ ასრულებდა—ავტოგრაფებს ურიგებდა თაყვანისმცემლებს. როგორც კი მის გვარს დავასახელებთ, ყველასთვის გასაგები იქნება სპორტის გულშემატკივართა საქციელი—ეს კაცი ემილ ზატოპეკია, XV ოლიმპიადის გმირი და XVII ოლიმპიადის საპატიო სტუმარი. ისევე, როგორც ვლადიმერ კუცს, ჯესი ოუენსს და ბობ რიჩარდს, ზატოპეკსაც ყველგან და ყოველთვის ცნობდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ.

სურათზე ჩანს, თუ როგორ მიიმწყვდიეს კედელთან ზატოპეკი. ბლოკნოტებში იწერება ავტოგრაფები და ჩნდება მხიარული შარჟები, რომელსაც ზატოპეკი საოცარი სისწრაფით და ოსტატობით ხატავს.

* * *

ოლიმპიურ თამაშებზე დასვენების დღეა. ვსეირნობთ რომის ქუჩებში და ერთ-ერთ მოედანზე ჩვენს ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა მხატვარი ქალი, რომელიც პირდაპირ პარკის ხეივანში მოკალათებულა. ვუახლოვდებით. ვეცნობით. იგი რომაელი არ აღმოჩნდა. სტუდენტი მადლენ ყონკე საფრანგეთიდან ჩამოვიდა ოლიმპიადაზე. თამაშები? თამაშები მას მოსწონს, რომიც. მას უყვარს ხატვა და არ შეუძლია თავის შეკავება. სურს რამდენიმე ესკიზი ჩაიხატოს მარადიული ქალაქისა (ფოტო № 3.).

ფოტო და ტექსტი გ. აკოფოვისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲛᲐᲚᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡᲞᲐᲜᲘ

ᲒᲠᲘᲒᲝᲚ ᲩᲘᲥᲝᲕᲐᲜᲘ — ᲛᲝᲗᲮᲠᲝᲑᲐ — **ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ Ლ. ᲡᲐᲫᲐᲠᲔᲚᲘ**

დიდი სიხარული ჰქონდათ მენგაზიდინოვებს. ახალი ბინა მიიღეს. ამ ამბავს ერთადერთი ვაჟიშვილის, იგორის ჩამოსვლაც დაერთო. იგორი სუვოროველთა სკოლაში სწავლობდა რუსეთში და შინ წელიწადში ერთხელ ჩამოდიოდა. მენგაზიდინოვები ჩემი ახლო მეზობლები იყვნენ და ბარგის გადატანაში ვშველოდი. მე და იგორმა ტანისამოსის კარადა რომ გამოვწიეთ, იატაკზე რაღაც დაეცა. ეტყობოდა კედელსა და კარადას შორის იყო გარჩენილი. ძირს დავიხედეთ. ჩვენს წინ დაჩუტული, ჭრელი რეზინის ბურთი ეგდო. დამტვერიანებული, გაცრეცილი და გამოხუნებული.

იგორმა ფრთხილად აიღო ბურთი, მაშინვე დედამამისაკენ გაიხედა, ხომ არ დაინახესო ბურთი. ისინი ჟურჭლის ჩალაგებით იყვნენ გართულნი. იგორი ზურგით შებრუნდა მათკენ, მტვერი გადაწმინდა ბურთს, თან თვალი კედელზე ჩამოკიდებულ სურათისაკენ გაექცა. ყავისფერ ხის ჩარჩოდან შვიდი თუ რვა წლის ბავშვი გადმოგვყურებდა. მოგრძო, ცისფერი თვალები, სწორი ცხვირი, მაღალი ჯიუტი შუბლი და ურჩი ქოჩორი. უცებ გაცოცხლდა ჩემს წარმოდგენაში ვიქტორი, თითქოს სურათიდან გადმოვიდა სიცოცხლით, დაუცხრომელი ენერგიით ხავსე და მოუსვენარი...

ჩემი ბიჭის კბილა იყო. ერთ სახლში ცხოვრობდნენ, ერთ სკოლაში სწავლობდნენ. ვიქტორი უთქმელი, ჩუმი ბავშვი იყო, ამავე დროს ცოტა პატივმოყვარე და ამაყი. ლამაზს არ იტყოდით, მაგრამ უცებ შეგაყვარებდა თავს.

მამამისი ყაზანელი თათარი იყო, დედა ქართველი ქალი. სამი შვილი ჰყავდათ. მამა თავს ევლებოდა ოჯახს, უთენია დგებოდა, ბაზარში მიეშურებოდა. ჩვენ რომ ვიღვიძებდით, ის უკვე ბაზრიდან ბრუნდებოდა. არც სამუშაოდან მოსვლის შემდეგ იჯდა გულხელდაკრეფილი.

ჩვენს სახლში ახალი გადმოსული იყო და ამიტომ მხოლოდ სალმით ვიცნობდი. ჩვენი და მისი ბინის ფანჯრები და აივნები ეზოში გადიოდა, პირდაპირ გასცქეროდნენ ერთმანეთს. ერთი პატარა ოთახი ჰქონდათ და მთელი ჯალაბი უმეტეს დროს აივანზე ატარებდა. აქ ჭამდნენ, აქ სვამდნენ, სტუმარსაც აქ იღებდნენ და მეზობელსაც. მეორე სართულზე ცხოვრობდნენ, ჩვენ კი მესამეზე და ნებაუნებლიეთ მათი ცხოვრება ხელის გულივით იყო გადაშლილი ჩვენს თვალწინ. არ უჭირდათ და, მაინცდამაინც, არც ულხინდათ. მაგრამ ცოლქმარს წარბშეკრულს ვერ ნახავდით. ბედს არ ემდუროდნენ, რაც ჰქონდათ, იმითაც კმაყოფილნი იყვნენ.

ვიქტორმა და ჩემმა ბიჭმა ოტიამ უცნაურად გაიცნეს ერთმანეთი. ზაფხულის ერთ ცხელ საღამოს როცა დიდი და პატარა აივნებზე და კიბეების თავზე იყვნენ გამოფენილნი, ვიქტორს ბურთი გადმოუგორდა მოაჯირიდან. სწრაფად ჩამოირბინა კიბე, ეზოში რომ ჩამოვიდა, ამაყად გაემართა ბურთისაკენ.

— ემანდ, ონკანთანაა! — დაუძახა ჩემმა ბიჭმა ვიქტორს აივნიდან.

თვალი მოსჭრა ბურთის სილამაზემ. ბურთი სულ ახალი იყო. ნახევარი მხარე ლურჯი ჰქონდა, მეორე ნახევარი წითელი. შუაში მწვანე და ოქროსფერი ხაზი გასდევდა, მათ შორის კი თეთრი ზოლი.

— უშენოდაც ვიცი სადაა! — დაუფარავი თავმომწონეობით ამოსძახა ვიქტორმა ოტიას. ბურთთან მივიდა, აიღო, იღლიაში ამოიდო და კოხტაობით გაბრუნდა უკან.

ოტია თვალს ვერ აშორებდა ბურთს. მიუხედავად ვიქტორის მედიდური, მკვახე პასუხისა, ცდუნებას ვერ გაუძლო.

— გინდა ვითამაშოთ, ვიტია! — დაუძახა ვიქტორს.

— ვითამაშოთ, რატომაც არა, ბურთი სამაგისოდაა გაჩენილი! — ამოსძახა ვიქტორმა დაბოხებული ხმით.

ოტია თავპირის მტვრევით ჩაიჭრა ეზოში, საიდანღაც უცებ ორი აგური გააჩინა, აქეთ-იქით დადო და კარში ჩადგა.

— დამირტყი!

— პენალტი?

— იყოს პენალტი!... ოღონდ ნამუსიანად გადაზომე, მოტყუება არ იყოს! ეი, ეი, ნაბიჯი გაშალე!

ვიქტორმა კარიდან პენალტის ადგილამდე ნამუსიანად გადაზომა მანძილი, ბურთი დადო, აივნებსა და ფანჯრებს ახედა, მიყურებენ თუ არა ბავშვებიო, უკან დაიხია, მერე დინჯად, დაჯერებულად წამოვიდა ბურთისაკენ, ისე გამოაქანა ფეხი, თითქოს მარცხენა კუთხეში გზავნისო ბურთს, მაგრამ უცებ, მოულოდნელად მარჯვენაში დაარტყა. ბურთი „ბადეში“ გაეხვია. ოტია კი მარცხნივ დაუწვა ბურთს და ნიდაყვი წაეღლიტა ასფალტზე.

ვიქტორმა ბურთი აიღო, აგურები ფეხით კედლისაკენ მიყარა, დამცინავი ღიმილით შეხედა გამტვერიანებულ და გახიხლიანებულ მეკარეს.



— ბევრი უნდა ივარჯიშო, რომ მე მეთამაშო, — უთხრა და აგდებულად დაუმატა: — თუმცა შენგან დოროხოვი მაინც არ გამოვა.

— არც შენ დადგები პაიჭაძე, — მიუგო შეურაცხყოფილმა ოტიამ.

ვიქტორმა ვითომ ვერ გაიგონა, გამარჯვებული და კმაყოფილი კიბეს აჰყვა, თან ყოველ მოსახვევზე აივნებისა და ფანჯრებისაკენ გამომწვევად აპარებდა თვალს. ასე იმიტომ იქცეოდა, რომ ჯერ კარგად არ იცნობდა ჩვენი ეზოს ბავშვებს. უნდობლად იყო მათთან.

— ძალიან ნუ იქაჩები, ვიტია, შემოხვევით გაიტანე!

— არ ითვლება ეგ გოლი!

— მოატყუე, ახლოდან დაურტყი!

დააყარეს სეტყვასავით ბავშვებმა.

— რად გარბიხარ, აბა კიდევ გაუტანე, თუ ბიჭი ხარ!

ოტიამ თითქოსს ვედრებით ახედა ვიქტორს.

— მოდი, რა! — შეხთხოვა და აგურები ხელად დააწყო, ისევ ჩადგა კარში.

ვიქტორმა არც მოხედა.

— ნახე, ოტია, შეეშინდა!

— გაიქეცი, ვიტია!

— აბა, კიდევ გაიტანოს, თუ ბიჭია!

ამაოდ იძახდნენ ბავშვები ოტიას გასამხნევებლად. გული სტკიოდათ, რომ ვიდაც გუშინ გადმოსულმა ბიჭმა აჯამა სირცხვილი მათ ამხანაგს.

გაწბილებულმა და დამარცხებულმა ჩემმა ბიჭმა თავაუღებლად გაიარა ეზო, ამოჰყვა კიბეს, მაგრამ არ იქნა, არ ეშველა აივანზე მის ამოსვლას. უთუოდ სადღაც შუა კიბეზე შეიცადა. მივხვდი დამარცხებული და ნიდაყვგადატყაული არ დამეწახვებოდა. ავდექი და ოთახში შევედი.

მეორე დღეს სამსახურიდან რომ დავბრუნდი, მთელი ჩვენი სახლის ბავშვები ეზოში გამოფენილიყვნენ და ვიქტორისა და ოტიას შეჯიბრებას უყურებდნენ. ჭიშკარში რომ შევედი, სწორედ მაშინ ბურთი კარში გაიჭრა, სამი მეტრის იქით ონკანს მიეხეთქა, უკან დაბრუნდა და ოტიას თავში მოხვდა. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების სიმპათია რატომღაც მეკარის მხარეზე იყო, მაინც ვერ შეიკავეს სიცილი. ოტიამ ყურადღება არ მიაქცია მათ, ბურთი აიღო და ვიქტორს გაუგორა.

— დაარტყი!

ისევ შევარდა ბურთი კარში. ეტყობოდა ეს არც მეორე ბურთი იყო და არც მესამე. გამტვერიანებული, გაოფლიანებული და დაქანცული იყო ჩემი ბიჭი. იხტიბარს მაინც არ იტეხდა, უგორებდა ვიქტორს ბურთს და დაჟინებით იმეორებდა:

— დაარტყი!

ბავშვები აღარ იცინოდნენ, თანაგრძნობით და ერთგვარი მორიდებითაც კი შეჰყურებდნენ მოწინააღმდეგეებს, რომლებიც თავგანწირული შეუპოვრობით უგებდნენ ნიშნს ერთმანეთს.

ასე გრძელდებოდა რამდენიმე დღე. ისე გავიდა ეზოს, თითქოს ვერ ვამჩნევდი ჩემს ბიჭს. ახლა ბავშვებთან ერთად მთელი სახლი ადევნებდა თვალს ორთა ჭიდილს.

არ ვიცი რამდენმა ხანმა გაიარა ამ შეურიგებელ ბრძოლაში. ამ ხნის განმავლობაში სულ თვალწინ მედგა ნიდაყვებ და მუხლებგასისხლიანებული ჩემი ბიჭი. ერთხელ მივლინებაში წავედი, ორი კვირის შემდეგ დავბრუნდი თბილისში. ჩვენს ქუჩაზე რომ ამოვუხვიე, ბავშვების გაბმული, ხმამაღალი სტვენა და ხავილი შემომესმა. ნაბიჯს ავუჩქარე. მეგონა ისევ იმ სურათს ვნახავდი, მაგრამ არა, ვიქტორი კარში ურტყამდა, ოტია შეუცდომლად გრძნობდა ბურთის მიმართულებას, იჭერდა და უკან უბრუნებდა ვიქტორს.

— დაარტყი! — იმეორებდა ახლა უფრო მეტი დაჟინებით.

ვიქტორი ურტყამდა, მაგრამ ოტია ერთნაირი სიმარდით იჭერდა კუთხურს, პირდაპირს, დაბალსა და მაღალს. ვიქტორი ნერვიულობდა, მისი დარტყმები სულ უფრო არაზუსტი, გაუბედავი და გულშეუჯერები იყო. ბოლოს შეჩერდა, ბურთი აიღო, მეკარესთან მივიდა და ხელი ჩამოართვა.

— მაშინ რომ გითხარი, ოტია, შენგან დოროხოვი არ გამოვაო... არ უნდა მეთქვა.

ბავშვებს გაუხარდათ, თან გაუკვირდათ, იხუვლეს და შემოეხვივნენ მეტოქეებს. კინაღამ მეც წამცდა ფეხი, მაგრამ თავი შევიკავე და კიბისაკენ გავეშურე.

ასე დამეგობრდნენ ვიქტორი და ოტია.

შემოდგომაზე სკოლაში შევიდნენ. იმ დღიდან მოყოლებული, კვირა ისე არ გავიდოდა, ვიქტორი ჩვენსა არ ამოსულიყო. სულ არ ჰგავდა იმ ბავშვს, ოტიასთან ბურთის თამაშით პირველად რომ მყავდა წარმოდგენილი. კეთილი, მორიდებული, ამავე დროს ცნობისმოყვარე იყო. სული მისდიოდა წიგნებზე, ზღაპრებზე, სათავგადასავლო ამბებზე. ყველაზე მეტად ფერადი რეპროდუქციები, ილუსტრაციები იტაცებდა. ალბათ, იმიტომ, რომ თვითონ ემარჯვებოდა ხატვა. თუ ჩემი ბიჭი შინ არ იყო, ჟურნალ-გაზეთების მაგიდას მიუჯდებოდა და საათობით ათვალიერებდა. იხატავდა სურათებს. ყველაზე მეტად ბელურების ხატვა უყვარდა.

გავიდა წლები.

ომი რომ დაიწყო, ვიქტორი და ოტია მესამე კლასში იყვნენ. ვიქტორის მამა იმავე კვირას გაიწვიეს ჯარში. მალე მეც წავედი. ორი წლის შემდეგ ქერჩში დავიჭერი. დიდი ხანი გადავყავდით ჰოსპიტლიდან ჰოსპიტალში, ბოლოს გამოირკვა, რომ ჯარისკაცად აღარ ვივარგებდი და 1943 წელს შინ გამომსტუმრეს.

ქალაქი პირქუში, ცივი, დაქანცული მეჩვენა. იქნებ იმიტომ, რომ ღრუბლიანი საღამო იყო, ცრიდა. სველი იყო შემოდგომის გაძარცული ხეები, სახლები, ქუჩები დანაგვიანებული, ბინძური. ყოველ ნაბიჯზე დამწუხრებული სახეები, შავებში ჩაცმული ქალები, რიგები მაღაზიებში, ტრამვაიზე, მჭლეცხენებშებმული საბარგულები, ცარიელი ვიტრინები...

ტრამვაიში საშინელი ჭედვა იყო და ფეხით გავუდექი გზას შინისკენ. ბინდდებოდა, წულუკიძის ქუჩის შეღმართს რომ შევუდექი. ოციოდე ნაბიჯი მექნებოდა გავლილი, ჩემს წინ მიმავალი ასე ცამეტ-თოთხმეტი წლის ბიჭი რომ შევნიშნე. ტანზე მამაკაცის გადაკეთებული შარვალ-ხალათი ეცვა. მისი გამხდარი ტანი, უმწეო და უღონო მოჩანდა ამ გამოხუნებულ და მრავალგან დაკერებულ ხალათში. მაშინვე ვიცანი ვიქტორი, მიუხედავად იმისა, რომ ტანი სწრაფად აეყარა. დავეწიე და მხარზე ხელი დავადე. შედგა, ამხედა.

— ძია ლევან!—თქვა წყნარი ხმით და მოქანცული დიმილით დამაცქერდა, — ჩამოდით?.. როგორ გაეხარდებათ თქვენებს. ყველანი კარგად არიან.

— მამაშენის რა ისმის?

— მამასი?.. რაც წავიდა, მას შემდეგ არაფერი ვიცით მისი.

ვიქტორის გამოხედვაში, მის გამხდარ, ფერმკრთალ სახეზე უცნაური სიდინჯე გამოკრთოდა, თავის ასაკთან შედარებით დიდი მეჩვენა. ყოველთვის მკვირცხლი თვალები შინაგან სევდას დაეჩრდილა. სანუგეშო ვერაფერი ვუთხარი. სინდისმა შემაწუხა: მე შინ ვბრუნდებოდი, ვიქტორმა კი მამის არაფერი იცოდა. ერთ ხანს ორივე ჩუმად ავდიოდით აღმართს.

— ოტია მეშვიდე კლასში გადავიდა,—დაარღვია ბოლოს სიჩუმე ვიქტორმა.

— შენ?

— მე ერთი წლით დავანებე თავი სკოლას.

— რატომ?!

— დედა სულ ავადმყოფობს...

შავი პური ეჭირა ხელში, თავიდან ფეხებამდე სველი იყო.

— დღეს გვიან მოიტანეს პური. დიდი რიგებია.

— ესაა სულ თქვენი პური?

— განა ცოტაა ოთხ სულზე?

არაფერი ვუპასუხე. ჭიშკართან ვიქტორს და-ძმა შემოეგება — იგორი და თამარი. ეტყობოდათ დიდი ხანი ელოდნენ პურს. ვერ შემნიშნეს, ისე იყვნენ დაცვცებულნი, უხმოდ და როგორღაც მორჩილად ამოუდგნენ ძმას აქეთ-იქიდან და ჭიშკარში შევიდნენ.

მეორე დღე მზიანი გათენდა, მაგრამ თბილისი ისევ ისეთი ცივი და პირქუში იყო, როგორც წინა საღამოს. არც შინ დამხვდა კარგი ამბავი, ომს, რასაკვირველია, აქაც შემოედგა თავისი ფეხი, გაჭირვებას მკვიდრად მოეკალათებია. იმ კვირასვე ჩემს ძველ სამსახურში გამოვცხადდი. დილით ადრე მივდიოდი და შელამებულზე ვბრუნდებოდი.

ვიქტორს იშვიათად ვხედავდი. თუ სადმე მოვკრავდი თვალს, აივანზე, ეზოში, ქუჩაში, მაღაზიაში ან ტრამვაიში, უსაქმოდ არასოდეს არ იყო. შინ და-ძმას უვლიდა, საჭმელს უკეთებდა, მაღაზიაში რიგში იდგა, მედუქნეს მანქანიდან კასრებისა და ყუთების გადმოტვირთვაში შველოდა, ქუჩაში რაღაც მოჭრონდა, ან სხვის ბარგს ეზიდებოდა. არ უშვებდა არც ერთ შემთხვევას, რაიმე გაეკეთებია და ორიოდე გროში ეშოვა. უნდა გენახათ, რა სიხარულით მოჭქონდა ამ ფულით ნაყიდი კვერცხი თუ ქილა მაწონი, ვაშლი თუ ერთი ფინჩხა ფქვილი.

ჩვენთან იშვიათად მოდიოდა. არ ვიცი, ღამე რას აკეთებდა. ქალაქი შენიღბული, ჩაბნელებული იყო და ვიქტორის აივანზე ჩვენი ფანჯრიდან არაფერი ჩანდა. უთუოდ მთელი დღის შრომით დაქანცული იგორთან და თამართან ერთად ადრე იძინებდა.

ერთ საღამოს ის იყო, ჩემმა მეუღლემ კეციდან მჭადი გადმოიღო, რომ ვიქტორი შემოვიდა. ოტიას ძალიან გაეხარდა, დედას თვალით ანიშნა ვიქტორს გამასპინძლებოდა.

— არა მშია, დეიდა ქეთო, — უთხრა გაბზარული ხმით ვიქტორმა, ყურებამდე გაწითლდა, თვალი მოგვარიდა და ჩვეულებრივად ჟურნალ-გაზეთების მაგიდას მიაშურა, მიუხედავად იმისა, რომ ძველებურად იქ არც ჟურნალები ელაგა და არც გაზეთები, მაინც მიუჯდა მაგიდას, — ჩვენ საჭმელი საყოფი გვაქვს, დეიდა ქეთო... დღეს ხორციანი კერძი გვქონდა.

ჩემს ბიჭს გადავხედე. იგი ვიქტორზე არა ნაკლებ წამოწითლებულიყო.

ვიქტორს რაც უნდა საქმე ჰქონოდა, ჩვენსა რომ მოვიდოდა, ერთ საათს მაინც დარჩებოდა, იმ საღამოს კი ხუთი წუთიც არ გაჩერდა. საქმე მოიმიზეზა და ისე წავიდა, არ დაგვემშვიდობა.



ვიქტორის შემდეგ მოსვლაზე ოტიამ, მიუხედავად იმისა, რომ ახალი ნასადილევი იყო, საჭმელი მოითხოვა. ჩემს მეუღლეს გაუკვირდა, მაგრამ უმალვე მიუხვდა ბიჭს და სწრაფად გაუშალა სუფრა.

— მოდი, ვიტია,— ისე უთხრა ოტიამ ვიქტორს, თითქოს ყოველ დღე ერთად ჭამდნენ ერთ სუფრაზე.

ამის შემდეგ გვესტუმრებოდა თუ არა ვიქტორი, რა დროც არ უნდა ყოფილიყო, ოტიას უსათუოდ მოშივდებოდა და დედას სუფრას გააშლევინებდა.

მოელი ის შემოდგომა წვიმიანი იყო. ერთხელ სამორიგეოდ გასვლამ ღამის სამ საათზე მომიწია, ავდექი, საწვიმარი წამოვისხი და გარეთ გავედი. სავსე მთვარე დაცურავდა ღრუბლებში. ყინულლავდა. ჰაერი ნესტით იყო გაჟღენთილი, ფანჯრები დახურული და შენიღბული. ქალაქი ჩამკვდარს ჰგავდა.

ჩემს გაკვირვებას საზღვარი არა ჰქონდა, ჭიშკრის კუთხეში, მორიგის ადგილზე, სიცივისაგან გათოშილი ვიქტორი რომ დავინახე მერხზე. გულზე კატა მიეკრა და ეძინა. უკან გადაწეული თავი რკინის ჭიშკრისთვის მიეყრდნო.

ახლო მივედი. კატამ იმ წამსვე გაახილა თვალი, დამაცქერდა, მერე ზანტად დაამთქნარა, ისევ შემომხედა უკმაყოფილოდ, მოიკეცა, ახლა სხვა გვერდზე დაწვა, თვალი მილულა.

ვიქტორს სახეზე მტკივნეული ღიმილი უკრთოდა, ნერვიულად ეძინა, იგრძნო, რომ ვუყურებდი, შეკრთა, გაიღვიძა, კატა ხელში აიყვანა და სწრაფად წამოდგა:

— ერთი წამით წამეძინა, ბიძია ლევან,— წაილუღლუღა დარცხვენით, კატა ძირს დასვა.

— ვინ დაგავალა მორიგეობა, ვიტია?

ხმაზე შემატყო, რომ გაჯავრებული ვიყავი.

— ვინმემ ხომ უნდა იმორიგეოს ჩვენი ოჯახიდან, ბიძია ლევან!

დამემშვიდობა და ეზოში შევიდა. კატა უკან გაჰყვა.

ერთ ხანს, არ ვიცი რატომ, ვიქტორმა ჩვენსა მოსვლა მიატოვა. ვიფიქრე დროს ვერა ჰპოულობს-მეთქი და უთუოდ ასეც იყო, რადგან ახლა უფრო მეტს მუშაობდა, მიუხედავად იმისა, რომ ხამხედრო კომისარიატიდან ხშირად ეხმარებოდნენ მის ოჯახს, მაინც უჭირდათ. ბაზარზე ცეცხლი ეკიდა ყველაფერს. ვიქტორი კი არა, მე ვერ ვახერხებდი ოჯახის შენახვას. ჩვენ ორნი ვმუშაობდით, — მე და ჩემი მეუღლე და მაინც ძლივს გაგვქონდა თავი.

კვირა დღე იყო. რუსთაველის პროსპექტზე, ჭადრის ქვეშ ვიქტორი დავინახე. შურდულმომარჯვებული აქეთ-იქით იხედებოდა, მერე ტოტებში მოყოვლივე ბელურებს შეავლო თვალი, სწრაფად დაუმიზნა შურდული ერთ მათგანს.

გამიკვირდა, ვიქტორი, რომელიც გატაცებით და სიყვარულით ხატავდა ერთ დროს ბელურებს, ახლა მოსაკლავად უმიზნებდა შურდულს. ის იყო დაძახება დავაპირე, მაგრამ სიტყვა პირზე შემაშარა. ჩემს წინ ასფალტზე ყრუდ დაეცა ბელურა.

ვიქტორმა ვერ დამინახა, ბელურასთან მოიჯრა და მხოლოდ მაშინლა შემამჩნია აღელვებულმა. შეკრთა. ორივე ჩუმად ვიდექით ერთ ხანს. ბელურა უმწეოდ აფართქალებდა თავის პატარა, სუსტ ფრთებს და საცოდავად ახავსავებდა ციცქნა ფეხებს, თან პირს აღებდა, ჰაერი არ ყოფნიდა. შემდეგ ერთბაშად გაიჭიმა, გაიძაგრა, თვალი დახუჭა და გაქვავდა.

საყვედურით ავხედე ვიქტორს და მაშინვე ვინანე. ბავშვი გაფითრებული იყო. არ უყურებდა ბელურას, არც მე, თავი გვერდზე მიებრუნებია, როგორც დამნაშავეს, რომელიც თვითონ გრძნობს თავისი საქციელის სიმძიმეს.

— მეტს აღარ ვიზამ, ბიძია ლევან,— მითხრა ყრუდ, აჩქარებით, მაშინვე შებრუნდა და ჯორჯიაშვილის ქუჩისაკენ გაიქცა.

არ ვიცი რატომ, თანაგრძნობით გავადევნე თვალი მის ულონო, ძირს დახრილ მხრებს. იმდენი ვერ მოვახერხე დამეძახა, ბელურა წაიღე-მეთქი. დავიხარე, ჩიტი ავიღე და იქვე ჭადრის ძირში ბალახში ჩავდე.

რამდენიმე დღის შემდეგ კვლავ შურდულმომარჯვებული დავინახე ვიქტორი, მაგრამ ახლა ჩვენ ქუჩაზე, აკაციის ქვეშ. არ მინდოდა ხელი შემეშალა, მაგრამ სწორედ მაშინ, როცა შურდული უნდა ეტყორცნა, შემნიშნა, სასროლი ჯიბეში იკრა და თავქვე დაეშვა.

ამის შემდეგ დამინახავდა თუ არა, გზახ ამიცევდა. მეც ვერიდებოდი პირისპირ შეხვედრას, რადგან ხშირად წარმომიდგებოდა მისი აღელვებული და გაფითრებული სახე იქ, პროსპექტზე, ჭადრის ქვეშ და რაღაც შეუცნობ, გაურკვეველ ტკივილს ვგრძნობდი, თითქოს რაიმე დანაშაული მიმიძღოდა მასთან.

დედამისი გამოჯანმრთელდა, ძაფსართავ ფაბრიკაში დაიწყო მუშაობა. ერთხელ სამუშაოდ მიმავალნი, ეზოდან ერთად გავედით. ვიტიამ სულ დაგვივიწყა - მეთქი, ვუსაყვედურე.

— იმდენს მუშაობს ჩემი ბიჭი, — მითხრა ნაღვლიანად დედამ, — ის რომ არა, დღეს ჩემი ხსენებაც არ იქნებოდა ქვეყანაზე. იგორსაც და თამარსაც მან შეარჩინა სული. ახლა ვიქტორის მამის ამბავი რომ ვიცოდეთ, აღარა გვიჭირსრა. ფაბრიკაში კარგად გვამარაგებენ, ხელფასსაც გვარიანს ვიღებ.

იმ დღეს სამუშაოდან ადრე დავბრუნდი. გრიბოედოვის ქუჩა რომ გადავჭერი, ჩვენს ჭიშკარში აჩქარებით შემავალი ქალები და კაცები დავინახე. მალე ეზოდან კივილ-ტირილიც შემომესმა. რაღაც კარგი ამბავი არ იყო. ჭიშკარში შევირბინე და იქვე შევდექი. მთელი სახლი აწრიალებული იყო. ტიროდნენ აივნებზე, ფანჯრებში, ეზოში. ყველა, დიდი და პატარა ვიქტორის ოთახისაკენ იყურებოდა.

რა მოხდა - მეთქი, ვკითხე მეეზოვეს, რომელიც მკერდში მჯიღს იცემდა და თავის აქეთ-იქით ქნევით, აი, აი, ჩვენი ვიტიაო, იძახდა.

თურმე დილით ვიქტორის მამის წერილი მოუტანია ფოსტალიონს. ვიქტორი სიხარულით ცას სწევია, მაშინვე ფაბრიკაში გაქცეულა, დედისთვის რომ ეხარება. აღელვებისაგან თავგზა აბნეულს რუსთაველის მოედანი უნდა გადაერბინა და იქ მანქანების ორომტრიალში მოჰყოლია.

— მერე?

— მანქანას გაუტანია... იქვე დაულევია სული. აი, აი, ჩვენი ვიტია, როგორ ელოდა მამის წერილს.

ძლივს ავლიე ჩემი ბინის კიბე. ბიჭი შინ დამხვდა, ტახტზე იჯდა ნამტირალევი, ფერწასული. უხმოდ ჩამოვჯექი მის პირდაპირ. ეზოდან ვიქტორის დედის მოთქმა ისმოდა.

— იცი, მამი, რატომ ხოცავდა ვიტია ბელურებს? — დაარღვია დუმილი ოტიამ, — თავის წილ პურს იგორსა და თამარს აკმევდა... — მეტი ვერაფერი თქვა, ტუჩები აუთრთოლდა და გაჩუმდა.

ჩემს ყურს არ დავუჯერე, მაგრამ ეს ხომ ახე იყო. გამახსენდა ვიქტორის დედის დილანდელი სიტყვები: „ახლა აღარა გვიჭირსრა, ვიქტორის მამის ამბავი რომ ვიცოდეთ...“

იგორმა თვალი მოაშორა ძმის სურათს.

— გახსოვს, ბიძია ლევან, ეს ბურთი? — მკითხა ხმადაბლა, რომ დედ-მამას არ გაეგონათ. თვალებში ცრემლი უკრთოდა.

რა იცოდა იგორმა, რომ მე არა მარტო ბურთი მახსოვდა ვიქტორის.



სიყვარული ლექსებში

გეორგ ემინი

* * *

ზაფხულის მინდვრებს მივდევდით
მე და ძმობილი ჩემი,
მათრობდა მწვანე ბალახი
და ყვავილები ჭრელი.

ცისა და ტბების მზირალმა
მეგობარს ვკითხე ასე:
— ხედავ ყველაფერს თან ახლავს
ფერი სიცოცხლით სავსე.

— ვხედავ და მერე რა მოხდა!—
სიტყვა მომიჭრა სწორმა,
მაშინ ვიგრძენი ნამდვილად
შეყვარებული რომ ვარ.

მეგობრებო, რა კარგია სიყვარული

მეგობრებო, რა კარგია სიყვარული,
როცა შორით მკრთალი შუქი გამოჩნდება,
ბილიკ-ბილიკ წაგიძღვება საოცრება,
ბნელში ბედის ვარსკვლავივით გაგინათებს,
ფრთებს შეგასხამს, მუხლში ძალას გაგიათებ
და სიმღერით მოგწყურდება სიარული.
მეგობრებო, რა კარგია სიყვარული!

მეგობრებო, რა კარგია სიყვარული,
შორეული შენი შუქი, როცა იცი,
სადღაც ცაში კი არ არის მიმალული,
მიწაზეა, სადაც ცხოვრობ, სადაც იღწვი,
გვერდით დაგდევს უწმინდესად დასაფიცი,
მასთან ლამარად ანთებული მიგაქვს გული...
მეგობრებო, რა კარგია სიყვარული!

* * *

მოდი, მეწვიე სტუმრად,
მნახე, მაღირსე შველა,
ყველგან მზე გაბადრულა,
ჩემთან ოთახში ბნელა.
სარკმელს ეხვევა ქარგად,
სურო მოიწევს მაღლა,
სიზმრად განახავდი, მაგრამ
როგორც შენ, ჩემო კარგო,
არც ძილი მოდის ახლა.

პირველი თოვლი

შენ პირველ თოვლთან ერთად მესტუმრე,
სიწმინდით თეთრი ფიფქის სადარო,
გათენებამდე, გინდ დამემდურე,
თოვლიან გზებზე მინდა გატარო,
თავსაფრად გეკრას თავზე ფანტელი,
ჩემთან ბრწყინავდე თმებგიშრიანი,
მინდა გაცოცხლდნენ თოვლქვეშ ვარდები
და შენ დაგეგონ ფეხქვეშ შრიალით.
უსიყვარულოდ ვინ თქვა სიმღერა,
უსიყვარულოდ ხენიც ხმებიან,
თეთრი ბუმბული ცისქვეშ ირხევა,
და რა სჯობს პირველ თოვლში ხეტიალს.

თარგმნა ოთარ ჭელიძემ

მეცხვრე ციფრები

გ. ღალიძე

ვ. ი. ლენინის სახ. საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპორტულ დარბაზებში გამოფენილი თასები, სიგელები, სქემები, ფოტოსტენდები და თვით მშრალი ციფრებიც მოგვითხრობენ და გვაგრძნობინებენ იმ დიდ ღვაწლს, რომელიც შეაქვთ მომავალ მშენებლებს, მეტალურგებს, ქიმიკოსებს, გეოლოგებსა და მექანიკოსებს სამამულო სპორტის განვითარების საქმეში.

ამჟამად ინსტიტუტის 16 წარმომადგენელი არის საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაკრები სპორტული კოლექტივის წევრი, მათ შორის: რომის ოლიმპიური ასპარეზობის ჩემპიონი, მომავალი ინჟინერ-ქიმიკოსი ავთანდილ ქორიძე, ცნობილი ფეხბურთელი, მომავალი მეტალურგი შოთა იამანიძე, მრავალი ჩემპიონატის პრიზიორი გურამ მინაშვილი, მსოფლიო ჩემპიონი როსტომ აბაშიძე, უძლიერესი ჩოგბურთელი ირინა რიაზანოვა და სხვები, რომლებმაც ბევრ ასპარეზობაში წარმატებით დაიცვეს საბჭოთა სპორტის ღირსება. ინსტიტუტის კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდები თამაშობენ საბჭოთა კავშირის პირველობაზე „ა“ კლასის გუნდებს შორის. ბევრჯერ გაუხარებია ქართველი გულშემატკივრები ამ გუნდების გამარჯვებებს როგორც საკავშირო ჩემპიონატში, ასევე საერთაშორისო თამაშებზე.

ინსტიტუტის სხვადასხვა სპორტულ სექციებში გაერთიანებულია 1700 სტუდენტი. მათ შორის 43 სპორტის ოსტატია, ხოლო 171 — პირველთანრიგოსანი.

გასული სპორტული ზაფხული განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა მომავალი ინჟინრებისათვის, მაგრამ ყველა იმ გამარჯვებათა შორის, რაც მათ მოიპოვეს, აღსანიშნავია საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასწავლებლების ტრადიციულ სტუდენტურ თამაშებში პირველი ადგილის მოპოვება.

ეს დიდი სპორტული ღონისძიება მიმდინარე წელს ჩატარდა ქ. ხარკოვში. ამ ასპარეზობაში მონაწილეობას იღებდა საბჭოთა კავშირის 182 უმაღლესი სასწავლებლის 7000 წარმომადგენელი.

ხარკოვში ქართველი სპორტსმენები თავიდანვე ყურადღების ცენტრში მოექცნენ. ეს არც იყო გასაკვირი, რადგან პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარმომადგენლები იყვნენ უკანასკნელი სპორტული თამაშების ჩემპიონები და, ბუნებრივია, შეჯიბრის საზეიმო გახსნის დღეს მათ მიენიჭა ასპარეზობის ალმის აღმართვის უფლება.

15 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა სპორტულად დაძაბული და საინტერესო ასპარეზობა. პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარგზავნილებმა სპორტის ექვს სახეობაში: — თავისუფალ ჭიდაობაში, კალათბურთში (ქალები), კლასიკურ ჭიდაობაში, ჩოგბურთში, ფარიკაობასა და მაგიდის ჩოგბურთში მოიპოვეს პირველი ადგილი.

საერთო პირველი ადგილიც, 64 ქულით, მოიპოვეს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის წარგზავნილებმა. მათ შეინარჩუნეს უძლიერესთა სახელი და მოიპოვეს თასი „მასიურობისა და წარმატებით ბ. მოსვლისათვის.“ მეორე ადგილზე 33 ქულით გამოვიდა ლენინგრადის სატრანსპორტო ინსტიტუტი, ხოლო მესამეზე—23 ქულით მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტი.

ინსტიტუტის კინომოყვარულთა წრემ ფირზე აღბეჭდა ამ ასპარეზობის საუკეთესო მომენტები.

გაივლის დრო, ათასობით სტუდენტი გამოეთხოვება მშობლიურ ინსტიტუტს. მოვა ახალი ცვლა, ისინი თვალნათლივ გაეცნობიან წინა თაობების საუკეთესო სპორტულ ტრადიციებს და თვით იქნებიან ამ ტრადიციის გამგრძელებელნი.

დიდი ხელოვანის პრესკონფერენცია

ამ რამდენიმე ხნის წინ გამოჩენილი ზანგი მომღერალი პოლ რობსონი ეწვია გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას. იგი სასტუმრო „ნევაში“ შეხვდა პრესის წარმომადგენლებს. ამ შეხვედრაზე ამერიკელმა მომღერალმა საგულისხმო აზრები გამოთქვა ხელოვნების საკითხებზე, მის დანიშნულებაზე, ჯაზის წარმოშობაზე და სხვა.

პოლ რობსონმა განაცხადა: „მე ხშირად მეკითხებოდნენ, ხელს ხომ არ უშლის ჩემი მშვიდობის საბჭოში მონაწილეობა ჩემს მოღვაწეობას ხელოვნებაში. მე ყოველთვის ვუპასუხებდი: პირიქით, ყოველი ხელოვანი, რომელსაც სჯერა, რომ შეუძლია თავისი ხელოვნება არ დაუკავშიროს ხალხის საჭირბოროტო პრობლემებს, ადრე თუ გვიან ჩიხში მოემწყვდევა.“

რობსონს თხოვეს გამოეთქვა აზრი ჯაზის შესახებ. მან აღნიშნა: „ჯაზს დაუკარგეს თავისი პირვანდელი მამხილებელი მარცვალი. ჯაზს უწინ ჰქონდა რევოლუციური ელემენტიც, მაგალითად, ერთ-ერთ პირველ ბლუზს ჰქონდა ასეთი ტექსტი: „თქვენ მოდიოდით ბორკილებით და მტაცებდით ქმარს“. ახლა კი იგივე მელოდიას ასეთი სიტყვები ახლავს: „რა ღრმაა ზღვა, რა ლურჯია ცა.“

„მე სახალხო მომღერალი ვარ და ვცდილობ სიმღერაში ხმა კი არ წამოვწიო წინ, არამედ სიმღერის შინაარსს გავუსვა ხაზი.

ჩემი „საიდუმლოება“ ის არის, რომ მე სიმღერაში ვეძებ სიმართლეს“.

იგივე ნიუ-იორკელი კრიტიკოსები, რომლებიც ამ თვისების გამო პოლ რობსონს არ თვლიან დიდ ხელოვნად, ვერ გაეკცნენ და აღიარეს პოლ რობსონის უკანასკნელი გამარჯვება, რომ „რობსონის „ოტელო“ არის მე-20 საუკუნის უდიდესი „ოტელო“, და შეიძლება არა მარტო ჩვენი საუკუნისა.

ზაზა გამრეკელი

ნელი ჩაჩავა

იგი მარჯანიშვილის ყველაზე ადრინდელი მოწაფეა, ერთადერთი ქართველ მსახიობთაგან, რომელიც მარჯანიშვილთან მუშაობდა 1913 წელს მოსკოვის „თავისუფალ თეატრში“.

ბარბარე ალექსანდრეს ასული გამრეკელი დაიბადა ქ. ქუთაისში მოსამსახურის ოჯახში, დედა მარიამ მესხი—იმ ოჯახიდან იყო, სადაც აღიზარდა არა ერთი და ორი ცნობილი საზოგადო მოღვაწე.

„პირველად ჩემი თავი თეატრში მახსოვს სამი წლის ბავშვად,—იგონებს ბაბო.—მახსოვს, ხელში აყვანილი შემოყვანეს ნახევრად ბნელ, დიდ დარბაზში, უამრავი სკამებით სიღრმეში ამაღლებულ ადგილზე, ნახევრად დანგრეულ ოთახში, საიდანაც ჩვენ დანახვაზე გამოეშურა ლამაზი ძია ალერსიანი ღიმილით, ამიყვანა ხელში და წამიყვანა იმ ამაღლებული ადგილისაკენ, რომელსაც, როგორც შემდეგ გავიგე, ეწოდებოდა „სცენა“. ეს იყო ქუთაისის თეატრში, „ლამაზი ძია“ კი ლადო მესხიშვილი იყო, რომელსაც უნდოდა ჩემი გამოყვანა ცოცხალ სურათში „პატარა ანგელოზად“.

ასე მიიღო პირველი ნათლობა ბაბომ თეატრში. ამის შემდეგ ხშირად უხდებოდა მას რეპეტიციებზე დასწრება, ხოლო 10-12 წლისას ბაქოში, სადაც შემდეგ ისინი გაემგზავრნენ საცხოვრებლად, ყავს ამხანაგებისა და მეზობლის ბავშვებისაგან შემდგარი საკუთარი „დასი“.

1909 წელს გამრეკელთა ოჯახი გადავიდა საცხოვრებლად მოსკოვში. 1913 წ. ბაბომ დაამთავრა გიმნაზია და გადაწყდა მისი თეატრში მუშაობის საკითხი. ამის გამო იგი იწყებს მეცადინეობას დრამატულ კურსებზე. შემდეგ მიიწვიეს „თავისუფალ თეატრში“ მსახიობად, მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა მისი სიხარული: თეატრი პირველივე სეზონის ბოლოს დაიხურა.

1914 წელს იწყება იმპერიალისტური ომი. ამ საზარელ პერიოდში ბაბო იწყებს შეთავსებით მუშაობას ლაზარეთში, ქირურგიულ მოწყალების დად.

1915 წელს მთელი ოჯახი გადმოსახლდა თბილისში, ბაბო მშობლიურ სცენაზეა, პარალელურად სწავლობს კონსერვატორიაში ვოკალურ განყოფილებაზე. თბილისში ამ დროს მუდმივი დასი არ არსებობდა. ამიტომ რეჟისორმა ქორელმა მიიწვია იგი ქუთაისში.

1918 წელს საფრანგეთიდან ჩამოსულმა რეჟისორმა გიორგი ჯაბადარმა, თბილისში ჩამოაყალიბა სტუდია-თეატრი, სტუდიაში სწავლობდნენ შემდეგში უკვე ცნობილი მსახიობები: ვ. ანჯაფარიძე, მ. ჭიაურელი, ა. ვასაძე, მ. ლორთქიფანიძე, მ. გელოვანი, შ. ღამბაშიძე, ანეტა ქიქოძე და ბაბო გამრეკელი.

როცა 1922 წელს კ. მარჯანიშვილმა, დადგა „ცხვრის წყარო“, ბაბო ამ სპექტაკლში ასრულებდა ორ პატარა როლს.

1928 წლიდან ბაბო მუშაობს ახლად ჩამოყალიბებულ მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრში და წელიწად-ნახევრის შემდეგ კვლავ გადადის კ. მარჯანიშვილის დასში. ხშირად ბაბო გამრეკელი ერთ დღეს ორ წარმოდგენაში მონაწილეობდა. დილით ასრულებდა მარეხის როლს (ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში“), საღამოს—ქალიჯანს, „ნინოშვილის გურიაში“.

წლები წლებს მისდევდა, ბაბო არ კმაყოფილდებოდა ერთხელ მიღწეულით. ამ ხანებში მას მოუხდა მუშაობა სრულიად სხვადასხვა ხასიათის როლებზე: ჰანელე („ჰანელე“) და ისახარ („ღალატი“), ფაიხოშ („სამშობლო“), მაკრინია („დარისპანის გასაჭირი“), გრაფინია ალმავივა („ფიგაროს ქორწინება“) და შემდეგ გამშრალი უგულო გერმანელი დიასახლისი „იცკაში“, ცაბუ („ნაპერწკლიდან“), გაღალატებული იმერელი აზნაურის ცოლი ნუჩია („სამანიშვილის დედინაცვალი“), დარეჯან—თავად ქავთარ ორბელის მეუღლე („გიორგი საakაძე“), ქართველი ინტელიგენტი დედა—ევა („მათი ამბავი“) და სხვა.

1925 წელს, როცა ქართულ სცენაზე მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით ახლებურად ამეტყველდა შექსპირის უკვდავი „ჰამლეტი“, ფრთები შეესხა ბაბოს ბავშვობისეულ ოცნებას. შესანიშნავმა ნიჭმა და ენერგიამ, საქმისადმი სიყვარულმა და შრომისუნარიანობამ შეაძლებინა მას ღრმად ჩაწვდომოდა შექსპირის გმირი ქალის—ოფელიას სახეს.

1941 წ. მარჯანიშვილის სახ. თეატრმა დადგა ბუაჩიძის „მკაცრი ქალიშვილები“, ამ პიესაში მუზა პლატონოვნას როლს ასრულებდა ბაბო, რომელმაც შექმნა ფუქსავატი ქალის საინტერესო სახე.

ამ როლების შესრულებით ბაბო გამრეკელი წარმოგვიდგება ფართო დიაპაზონის მსახიობად, რომელიც ათეული წლების მანძილზე ჩუმად, მოკრძალებით, ამხანაგებისადმი დიდი გულისხმიერებით და შემოქმედებითი გატაცებით მუშაობს საყვარელი თეატრის წარმატებისათვის. ბაბოს ღვაწლი ქართულ თეატრში არ ამოიწურება მარტოოდენ სცენაზე მოღვაწეობით. იგი რამდენიმე წლის განმავლობაში აქტიურად ეწეოდა საზოგადოებრივ აღმზრდელობით მუშაობას. მარჯანიშვილის თეატრთან არსებულ სტუდიაში იგი იყო სასწავლო ნაწილის გამგედ. ამჟამად კი ამ თეატრის მუზეუმს ხელმძღვანელობს.

კ. მარჯანიშვილი ბაბოს დიდად აფასებდა და თითქმის ყველა პიესაში ათამაშებდა. „დაჭრილი ქურციკის თვალები აქვსო“—იტყოდა ხოლმე ბაბოზე კოტე.

ბაბო გამრეკელი დღესაც აგრძელებს თეატრში მოღვაწეობას და ვფიქრობთ, იგი კიდევ კარგა ხანს დაუღალავად ემსახურება თავის საყვარელ საქმეს.

არსებობს თუ არა ცოცხალი?

ეროვნული ბიბლიოთეკა

1930 წლის მარტში მსოფლიო შემოიერბინა ცნობამ მზის სისტემის ყველაზე შორეული, „უკიდურესი“ პლანეტის პლუტონის აღმოჩენის შესახებ.

დღეს, სამი ათეული წლის შემდეგ, როგორც ვარაუდობენ, ისევ ვდგევართ ახალი აღმოჩენის წინაშე. ფიქრობენ (და ამისთვის საკმაო საფუძველიც გააჩნიათ), რომ ვარსკვლავთაშორისო სივრცის წყვდიადში, შორს, პლუტონის ორბიტის მიღმა, ტრიალებს კიდევ ერთი, დღემდე უცნობი პლანეტა. იგი ჯერ არავის დაუნახავს, ეჭვსაც გამოსთქვამენ მისი არსებობის შესახებ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სპეციალურ ასტრონომიულ ლიტერატურაში ეს საიდუმლო ციური სხეული უკვე აღნიშნულია ტრანსპლუტონის სახელწოდებით.

ისტორია მესამედ მეორდება! გასულ საუკუნეში ურანის „უწესრიგო“ მოძრაობამ საშუალება მისცა ლევერიესა და ადამსს „კალმის წვერზე“ აღმოეჩინათ ნეპტუნი. 50 წლის შემდეგ, პერსივალ ლოველი, რომელმაც სახელი გაითქვა მარსის გამოკვლევებით, ისევ დაუბრუნდა ურანის „უწესრიგო“ მოძრაობათა შესწავლას. აღმოჩნდა, რომ ლევერიესა და ადამსს მხოლოდ ნაწილობრივ აეხსნათ ამ პლანეტის უცნაური მოძრაობანი. დანარჩენი ნაწილი მიზეზი იყო მაშინ ჯერ კიდევ აღმოუჩენელი პლუტონის არსებობისა. მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, ლოველმა გაიმეორა ლევერიესა და ადამსის მეცნიერული გმირობა. მისი თეორიული გაანგარიშებებით აღმოჩენილი იქნა ახალი პლანეტა, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ დიდი ხნის ძიების შემდეგ

ფრანგი ქალის ოვრაცია

გაზეთ „ლუმანიტეში“ მოთავსებულია საყურადღებო ცნობა ადამიანის ორგანოების გადანერგვის შესახებ: „26 წლის ახალგაზრდა ქალი—მარიზ ჟენექსი 78 დღეა, რაც თავისი მაზლის თირკმელით ცხოვრობს. ჯერ კიდევ არ შეიძლება ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ავადმყოფი საბოლოოდაა გადარჩენილი, რადგან მედიცინის ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა როდესაც თირკმელის გადანერგვა მოხდა ორ პიროვნებას შორის, რომელთაც არავითარი ურთიერთ ნათესაური კავშირი არ აქვთ.

ამ ახალგაზრდა ქალს ბავშვობიდანვე თირკმელების ორგანიული ნაკლი ქონდა. რამდენიმე თვის წინათ მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა მოულოდნელად გაუარესდა.

ავადმყოფის დედამ მიმართა პარიზში პროფესორ რენე კუსს, რომელმაც ა/ წლის 17 იანვარს ვინმე რენე კოგერელს გადაუნერგა თავისი ძმის თირკმელი.

პროფესორმა გადაწყვიტა ოპერაციის გაკეთება. შემცვლელი ორგანოს გამოსანახავად ექიმებმა ავადმყოფის ოჯახის ნათესავები და მეგობრები გასინჯეს. მადამ ჟენექსის მაზლი, რომელიც 33 წლისაა და ცხოვრობს კლერმონ-ფერანში, ერთი წამითაც არ შეყოყ-

63

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სიცოცხლე“

იპოვნიდნენ და ფოტოფირზე გადაიღებდნენ პლუტონს.

და აი, დღეს, უკვე მესამედ იკვლევენ ურანის მოძრაობას, და ასტრონომების ყურადღებას ისევ იპყრობს მეტად უმნიშვნელო, მაგრამ სავსებით რეალური და აქამდე აუხსნელი „უწესრიგობანი“.

ასტრონომიულ დაკვირვებათა სიზუსტე ყოველდღიურად მატულობს, ის „შეუსაბამობა“ ურანის მ ძრაობაში, რომელიც ვერ შეამჩნიეს ლევერიემ ა ადამსმა, დღეს უკვე აღარ შეიძლება უკუვაგდოთ, როგორც დაკვირვების შეცდომა, ის მოითხოვს ახსნას და, ალბათ, მისი მიზეზი უცნობი, ტრანსპლუტონური პლანეტის არსებობა უნდა იყოს მხოლოდ.

უნდა ვიფიქროთ, და საფუძველიც გვაქვს იმისა, რომ კომეტების ყოველი ოჯახი დაკავშირებულია რომელიმე პლანეტასთან. დღეისათვის ცნობილია 8 კომეტა, რომელთა ორბიტების აფელიები კონცენტრირებულია მზიდან 70 ასტრონომიული ერთეულის დაშორებით. ამ ფაქტმა, ბუნებრივია, ყურადღება გაუძლიერა მეცნიერებს და ტრანსპლუტონის არსებობის ჰიპოტეზას კიდევ ერთი დადასტურება შეემატა.

და, ბოლოს, ტრანსპლუტონის არსებობას შეეძლო აეხსნა თვითონ პლუტონის ზოგიერთი უცნაური თვისება.

პლუტონი ისე შორსაა მიწასა და მზიდან, რომ, 30 წლის დაკვირვებათა მიუხედავად, ჩვენ ძალზე ცოტა ვიცით მის შესახებ. მხოლოდ 1950 წელს შესძლეს მისი დიამეტრის გაზომვა (5870 კმ), იგი აღმოჩნდა 0,46 დედამიწის დიამეტრისა.

პლუტონს თანამგზავრები არ უნდა ჰყავდეს. ყოველ შემთხვევაში, მისი მასის შემოწმება შეიძლება მხოლოდ იმ გავლენის მიხედვით, რომელსაც პლუტონი ახდენს ურანზე. მაგრამ, ამაოდ, ამ მეთოდს მივყავართ უცნაურ შედეგამდე: გამოდის, რომ პლუტონი იწონის იმდენსავე, რამდენსაც ჩვენი დედამიწა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაუჯერებლად დიდია მისი საშუალო სიმკვრივე—50 გრ/სმ³-ში—პლანეტა შედგება ფოლადზე ექვსჯერ უფრო მკვრივი ნივთიერებისაგან! ამ დასკვნას, რა თქმა უნდა, ვერ დავუჯერებთ.

სრულიად უბრალოდ გადაწყდებოდა ეს ამოცანა, რომ ურანის მოძრაობის ზოგი „უწესრიგობისათვის“ პასუხისმგებლობა ეკისრა ჰიპოტეზურ ტრანსპლუტონს. მაშინ პლუტონის სიმკვრივეც ნორმალურს დაუახლოვდებოდა.

1959 წლის უკანასკნელი, ყველაზე სარწმუნო მონაცემებით ტრანსპლუტონი მზის გარშემო შემოვლას უნდება 676 წლის განმავლობაში!

ტრანსპლუტონის ორბიტის სიბრტყე სხვა პლანეტებისგან განსხვავებით დახრილია დედამიწის ორბიტის სიბრტყისადმი საკმაოდ დიდი, 38 გრადუსიანი კუთხით. მაშასადამე, ცაზე იგი უნდა ვეძებოთ იმ თანავარსკვლავედებში, სადაც არასოდეს არ იმყოფებიან სხვა პლანეტები.

ტრანსპლუტონის მონახვა განსაკუთრებით ძნელია, უდიდეს ტელესკოპშიაც იგი ნამცეცივით გამოჩნდება და მას ვერაფრით გამოარჩევ მილიონ ვარსკვლავთა შორის. ტრანსპლუტონის გადაადგილების შემჩნევა კი პრინციპულად შესაძლებელია, მაგრამ პრაქტიკულად ძნელია, მისი ნელი მოძრაობის გამო.

მიუხედავად ამისა, ძებნა გრძელდება, მონაცემები მისი ორბიტის შესახებ ზუსტდება.

ტრანსპლუტონი აღმოჩენილი იქნება!

ხიროსიმაში პირველი ატომური ბომბის ჩამოგდებიდან ათი წლის შემდეგ, ვინმე გერმანელი მოძღვარი—ოტო დიბელიუსი, მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ევანსტონში, ქება-დიდებას ასხამდა ატომური ბომბით სიკვდილის მშვენიერებას. იგი ცოცხლებს მოუწოდებდა ბედნიერი ზეციური მოგზაურობისკენ ატომური ბომბის საშუალებით.

მისი აზრით, წყალბადის ბომბის გამოყენება ქრისტიანული თვალსაზრისით არცთუ ისეთი საშინელი რამ არის.

„ჩვენ ყველანი ხომ მარადიული ცხოვრებისაკენ მივისწრაფით. რადგან ერთი წყალბადის ბომბი თვალის დახამხამებაში კლავს მილიონ ადამიანს, ისინი სწრაფად მიაღწევენ მარადიულ სასუფეველს“,—ამბობდა სიკვდილის მეხოტბე.

თუ რა „მშვენიერი“ და „უმტკივნეულოა“ ატომური ბომბით სიკვდილი, ამის შესახებ გვიამბობს იაპონელი მუშა ჰიროში კავაშატა, რომელიც ატომური ბომბის ჩამოგდებისას ჭალაქგარეთ იმყოფებოდა.

„... ერთბაშად კაშკაშა სინათლემ დამაბრმავა, რასაც მოყვა საშინელი გრუხუნი. ჰაერის ტალღამ შორს გადამისროლა და გონება დავკარგე, როცა გონს მოვედი, გავიქეცი მდინარე ენკო-გავასაკენ. ირგვლივ დარბოდნენ შეშლილი ადამიანები, იკლაკნებოდნენ დაჭრილები, მცემდა დამშვარი ხორცის სუნი...“

მაგრამ ატომურ ბომბს მხოლოდ ხილული სიკვდილი როდი მოუტანია. დღესაც, 15 წლის შემდეგ, ადამიანები იხოცებიან რადიაქტიური დაავადებებით.

1945 წლის შემდეგ ხიროსიმაში ყოველი მე-6 ბავშვი ან მკვდარი იბადება, ან მახინჯი. 32.179 ბავშვიდან 5.201 მკვდარი დაიბადა, 21 ბავშვს ან სულ არ ჰქონდა თვალები, ან მხოლოდ ცალი თვალი ჰქონდა. 31-ს არ ჰქონდა ტვინი, 29 ბავშვი დაიბადა ან სრულიად უკიდურეოდ, ან საშინლად დამახინჯებული კიდურებით.

ეს საბარელი ცნობები ვერ აჩერებს ახალი ომის გამჩაღებლებს, რომლებიც ქმნიან მასობრივი ფლეტის სულ უფრო და უფრო მეტი სიძლიერის იარაღს.

7986

მანებულა. ის დათანხმდა, რომ ამოკვეთონ თირკმელი მარიზ ჟენექსისათვის გადასანერგად.

ა/ წლის 13 ივნისს მარიზ ჟენექსი საავადმყოფოში დააწვინეს. პროფესორების, კუსისა და ლეგრენის ხელმძღვანელობით ქირურგთა ჯგუფმა ჟენექსს გადაუნერგა მისი მაზლის თირკმელი, რომელმაც ნორმალურად დაიწყო მუშაობა.

15 აგვისტოს ავადმყოფს გადარგული თირკმელის ანთება აღმოაჩნდა. ავადმყოფს გაუკეთეს ნაწილობრივი გასხივება და მას მოკეთება დაეტყო.

მთელ მსოფლიოში ამჟამად ოთხმა თუ ხუთმა კაცმა გადაიტანა თირკმელის გადანერგვის ოპერაცია. გარდა ამისა, არის კიდევ განსაკუთრებული, ძალიან საინტერესო შემთხვევები თირკმელის გადანერგვისა ტყუპებს შორის.

ქამდე დაკანონებულად ითვლებოდა, რომ თუ ავადმყოფი გადანერგილი თირკმელით 3 კვირას იცოცხლებდა იგი გადარჩენილი იყო... ბოსტონელმა პროფესორმა მირელმა პირველად შენიშნა, რომ ეს ვადა საკმარისი არ არის, რადგან თუ ავადმყოფი შეპყრობილია ქრონიკული ნერვოპატიით და თირკმელი ნელა მუშაობს, 2-5 თვე არის საჭირო იმისათვის, რომ საბოლოოდ გამოირკვეს გადაიტანა თუ არა მან ოპერაცია.

1959 წელს ნეკერის ჰოსპიტალში პროფესორ ი. ამბურჟერის ხელმძღვანელობით ექიმთა ჯგუფმა თირკმელი გადაუნერგა ახლო ნათესავებს—ტყუპ ძმებს. ავადმყოფს დიდხანს ჰქონდა პროგრესული ურემია.

ოპერაციიდან 8 თვის შემდეგ ექიმებმა დაასკვნეს, რომ ურემიის ყველა პათალოგიური ნიშანი გაქრა და ავადმყოფი უკეთ გრძნობდა თავს.

33 წლის კაცს, რომელსაც ქრონიკული ნერვოპატია ჰქონდა, რამაც დაარღვია თირკმელების ნორმალური მუშაობა, გაუკეთეს გასხივება და სასწრაფოდ გადაუნერგეს ნორმალური თირკმელი. თირკმელის მიმცემი და მიმღები არ იყვნენ ნათესავები.

გადანერგილი თირკმელი ნორმალურად მოქმედებდა, სამი კვირის შემდეგ ავადმყოფმა მოულოდნელად თავი ცუდად იგრძნო. ეს იყო კრიტიკული პერიოდი. შემდეგ თირკმელის მუშაობა კვლავ ნორმალური, სტაბილური გახდა, რადგან გაჰქრა ურემიის ყველა ნიშანი.

მომავალი გვიჩვენებს, თუ რა შედეგს მოგვცემს მარიზ ჟენექსისათვის გაკეთებული ოპერაცია. ამასთანავე დავინახავთ სხვა ოპერაციების შედეგებსაც. დადებით შემთხვევაში ეს იქნება ახალი სიტყვა თანამედროვე მედიცინაში.

„ლუმანიტე“ 1960 წ. სექტემბრის 8.

ბ. ბერ. ... ...

სსრკ სპორტის ოსტატი
არჩილ ებრალიძე.

არჩილ ებრალიძე

ჭადრაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვ. გოგლიძე
სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი.

გარდაიცვალა ერთ-ერთი პირველი ნიჭიერი ქართველი ოსტატი ჭადრაკში არჩილ ებრალიძე.

თბილისის საჭადრაკო ჰორიზონტზე ა. ებრალიძე გამოჩნდა 1927 წელს. ამ ხნიდან იგი იწყებს თავის საჭადრაკო მოღვაწეობას, სისტემატურად მონაწილეობს ადგილობრივ და სხვა ფართო მასშტაბის შეჯიბრებებში. ნიჭისა და შრომისმოყვარეობის წყალობით ა. ებრალიძე სწრაფად იხვეჭს რესპუბლიკის უძლიერესი მოჭადრაკის სახელს. მრავალგზის ხდება თბილისისა და საქართველოს ჩემპიონის საპატიო ტიტულის მფლობელი.

ბრწყინვალე შედეგს არჩილმა მიაღწია 1941 წელს, რესპუბლიკის საიუბილეო ჩემპიონატში, რომელშიც მონაწილეობას იღებდა 20 მოჭადრაკე, მათ შორის ოსტატები მაკაგონოვი, მიკენასი, გოგლიძე, კასპარიანი. მთელი ტურნირი მან დაუმარცხებლად ჩაატარა და დამსახურებულად აიღო პირველი ადგილი. ამ თვალსაჩინო მიღწევისათვის მას მიენიჭა საბჭოთა კავშირის სპორტის ოსტატის წოდება.

არჩილ ებრალიძე იყო მეტად მრავალმხრივ განვითარებული ადამიანი. ერთ ხანს იგი სწავლობდა თბილისის სამხატვრო აკადემიაში და ითვლებოდა სახალხო მოქანდაკის იაკობ ნიკოლაძის ერთ-ერთ წარჩინებულ მოწაფედ.

შემდგომ მან წარმატებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი და მოიპოვა კარგი ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსის სახელი.

არჩილმა ძალიან ბევრი რამ გააკეთა საქართველოში ჭადრაკის პოპულარიზაციისათვის. კოხტა და შინაარსიანი თამაშის გარდა იგი ეწეოდა მთარგმნელობით მოღვაწეობას. მან ქართველ-მკითხველს მიაწოდა ე. ლასკერის საყოველთაოდ ცნობილი „ჭადრაკის სახელმძღვანელო“, ხ. კაპაბლანკას „ჭადრაკი“ და სხვ.

ა. ებრალიძე სტილის მიხედვით იყო პოზიციური მოჭადრაკე. ძირითადად პატივს სცემდა მარტივ და ნათელ პოზიციებს, თუმცა არ გაურბოდა მწვავე სიტუაციურ თამაშსაც. აუცილებლობის შემთხვევაში ავლენდა ტაქტიკური გამომგონებლობის უნარს და აწყობდა შორს გამიზნულ ლამაზ კომბინაციებს.

იგი ბევრს მუშაობდა საჭადრაკო თეორიის დაუფლებისათვის. საფუძვლიანად იცნობდა სადებიუტო არსენალს და წარმატებით იყენებდა მას სატურნირო პარტიებში.

სიცოცხლის ბოლო წლებში იგი ჩამოსცილდა ჭადრაკს. მძიმე ავადმყოფობა არ აძლევდა საშუალებას მონაწილეობა მიეღო სხვადასხვა საჭადრაკო ტურნირებში.

ქვევით მოგვყავს რამდენიმე პოზიცია და პარტია, რომლებიც ნათლად წარმოგვიდგენენ ამ ნიჭიერი ოსტატის შემოქმედებით სახეს.

გლაგიძე



ებრალიძე

ეს პოზიცია შეიქმნა 1946 წელს საქართველოს პირველობაზე ა. ბლაგიძესთან გათამაშებულ პარტიაში.

ებრალიძემ აქ ითამაშა 1. კg5! შავები ვერ გაერკვნენ პოზიციაში და უპასუხეს 1... h6? (უნდა ეთამაშათ 1.. კg7!) რასაც მოულოდნელად მოჰყვა ულამაზესი კომბინაცია ლაზიერის შეწირვით:

2. ლ:d5!! კ:d5 (თუ 2.. ed, მაშინ 3 მf6++ მფd8 4. ეe8×. ანდა, 2... hg 3. მf6+ მფe7 4. მ:g8+ეტლის მოგებით) 3. მf6+ მფd8 4. მ:d5+hg 5. მ:b6 ეb8 6. ეc6 კb4 7. ეe4! კa5 8. ე:d4+ მფe7 9. მd7 და შავები დანებდნენ, რადგან უფიგურობდ დარჩნენ (9... ეd8-ზე თეთრები უპასუხებდნენ 10. ე:a6).

ლუგინსკი



ებრალიძე

ამ მდგომარეობაში არჩილი პოულობს შესანიშნავ კომბინაციას ეტლის შეწირვით, რითაც პარტიის ბედს თავის სასარგებლოდ წყვეტს.

1. ე:h7+!! ე:h7 2. ე:h7+ მფ:h7 3. ლh1+ მფg7 4. f6+! მფ:f6 5. მ:d7+ ლაზიერის მოგებით.

ქვემოთ მოყვანილი პარტია ა. ებრალიძის მიერ ნათამაშებია 1955 წელს საქართველოს პირველობაზე ახალგაზრდა თბილისელ მოჭადრაკე თამაზ კალატოზიშვილთან.

თეთრები: ა. ებრალიძე—შავები: თ. კალატოზიშვილი 1. d4 მf6 2. c4 e5 3. d5 e5 4. მc3 d6 5. e4 კe7 6. კd3 0—0 7. მge2 მe8 8. 0—0 g6 9. კh6 მg7 10. ლd2 მa6 11. ეae1 კd7 12. მg3 მc7 13. f4 (ებრალიძე პირველი იწყებს საშიშ შეტევას მოწინააღმდეგის მეფეზე, შავები კი აგვიანებენ კონტრ — თამაშს სხვა ფლანგზე) 13... f6 14. f5 gf5 15. ლd1 მფh8 16. h4 (მზადდება „h“ ხაზის გახსნა გადამწყვეტი შეტევისათვის) 16.. gh 17. მh5 მce8 18. ლg4 ეg8 19. ლ:h4 მ:h5 20. ლ:h5 კf8 21. კd2 ლe7 22. ეf3 ლg7 23. ლh2! მc7 24. ეh3 ეe8 25. კe2 ეe7 26. კh6 ლf7 27.. კh5 შავები დანებდნენ. მეტად ორიგინალურადაა განხორციელებული ლაზიერის დაჭერის გეგმა. და საერთოდ მთელი პარტია არჩილის მიერ ჩატარებულია თავისი საუკეთესო სპორტული სტილით.

კალატოზიშვილი



ებრალიძე

საჭადრაკო კურიოზები

იჩქარე!

ეს მოხდა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ერთ-ერთი მატჩის დროს, 1927 წელს. ჩეხოსლოვაკელმა გროსმეისტერმა რ. რეტიმ, რომელიც შვეიცარელ ოსტატ ტ. იონერთან თამაშობდა, თანაბარ პოზიციაში გადაწყვიტა ყაიმი შეეთავაზებინა მოწინააღმდეგესათვის.

სანამ პარტნიორი მორიგ სვლაზე ფიქრობდა, რეტი მივიდა თავისი გუნდის კაპიტანთან, რომ მისგან მიეღო ყაიმის ნებართვა. როდესაც გროსმეისტერი დაფასთან დაბრუნდა, იონერმა ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად და წარმოთქვა: «გნებდებით!»

მსაჯებმა წაგება ჩაუთვალეს შვეიცარელ ოსტატს. პარტნიორებმა იქვე დაიწყეს გათამაშებული პარტიის გარჩევა. გამოირკვა, რომ იონერმა ვერ დაინახა მარტივი გზა ყაიმისაკენ და თავის პოზიციას წაგებულად თვლიდა.

საკუთარი სისვემის წინააღმდეგ

ეს მოხდა გროსმეისტერ ავერბახსა და ერევნელ ოსტატ ზახარიანის შეხვედრისას, ჩვენი ქვეყნის პირველობისთვის ოდესის ნახევარფინალზე. პირველი სვლების შემდეგ მოსკოველ გროსმეისტერს უფრო და უფრო უძნელდებოდა საპასუხო სვლების გაკეთება, იმ დროს, როდესაც მოწინააღმდეგე ელვისებური სისწრაფით თამაშობდა და პარტიაც დამთავრდა, გაკვირვებულმა ავერბახმა ჰკითხა ზახარიანს.

— როგორ თამაშობდით ასე სწრაფად დებიუტში?

— მე ვიმეორებდი თქვენს სვლებს იმ პარტიიდან, რომელიც გაითამაშეთ ოსტატ გურგენიძესთან სსრკ-ს უკანასკნელ ჩემპიონატში.

— ? ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანდილაკი, უხერხული!

ნანა ქანდელაკი

იუმორისტული მოთხრობა

ნახატი ზ. ლეშავასი

შალვა მეტად ამაყობდა თავისი თანამდებობით. თავი მოჰქონდა იმით, რომ უშველებელი დაწესებულების ხელმძღვანელ ამხანაგად ითვლებოდა. ბეწვის ხიდზეც რომ ყოფილიყო, მასთან შემხვედრნი გზას უთმობდნენ, თავმდაბლად ესალმებოდნენ და, რაც მთავარია,—მის „ჰოსა“ თუ „არაზე“ დამოკიდებული იყო ადამიანთა მომავლის ბედი.

ერთი რამ მაინც არ მოსწონდა ინსტიტუტის მუშაობის დღის რეჟიმში შალვას. ეს იყო ზაფხულის პერიოდში მოქალაქეთა მიღების საათები. თავის ნებაზე რომ ყოფილიყო, შალვა, რა თქმა უნდა, ამ მოვალეობის ასრულებას მოადგილეს გადაულოცავდა, მაგრამ რატომღაც თხოვნით და საჩივრებით მისულ მოქალაქეებს მაინცდამაინც დირექტორთან სურდათ გულის მოოხება და, რაკი სხვა გზა არ იყო, შალვა მოთმინებით იხდიდა ამ ვალს. ისმენდა მოსულთა დარდს, ხშირად მათთან ერთად ოხრავდა, შფოთაედა და იმ დღეებში, როცა კარგ გუნებაზე იყო, ზოგიერთის განცხადებას მაამებელ დასკვნას წააწერდა,—ისიც თუ განმცხადებელი სრულიად უცნობი იყო.

მაგრამ, ვაი იმის ბრალი, თუ კაბინეტში თხოვნით ფეხს შემოადგამდა ნაცნობი, ან თუნდაც გადამთიელი ნათესავი. რა გინდ კარგ გუნებაზეც არ უნდა ყოფილიყო შალვა, სახის გამომეტყველება შეეცვლებოდა, მსუქანი ლოყები დაებერებოდა, პატარა თვალები გაუფართოვდებოდა, მელოტი თავი წამოუწითლდებოდა და ხმა გაბზარული საყვირივით წაუწვრილდებოდა:

— საქმეზე არავინ გამეკაროს ნათესავებმა!

— შალვა ჩემო, რაკი ნათესავები ვართ, ხელი ავიღოთ სწავლაზე?!

— სხვა ინსტიტუტს მიაკითხეთ. სალაპარაკო თემას სწორედ რომ არ მივცემ ხალხს. ნათესავების გულისათვის ამ ჩემს სოფლის სახელს ჩრდილს ვერ მივაყენებ. არა, არა და კიდევ არა! არავინ გამეკარჩს!..

— შალვა, უკანონოს ხომ არაფერს გთხოვთ!

— რაკი ნათესავები ვართ, მაინც უხერხულია!

მაგრამ შალვას ამ უცნაურობაზე, ალბათ, არაფერი ჰქონდა გაგონილი მის ნათესავ ქალს ნატალიას და, წარმოიდგინეთ, ერთ მშვენიერ ზაფხულის დღეს პირმოიცინარიც კი მივიდა მასთან კაბინეტში.

— ა!..—იფეთქა შალვამ.—ვიცი, თხოვნით ხარ მოსული, ასეა ხომ?

— სულ პატარა თხოვნით, კი, შენი ჭირიმე.

— მაგრამ მე არაფერი შემიძლია! — კატეგორიულად განაცხადა შალვამ.

— შალვას ჭირიმე, ნასწავლი კაცი ხარ, გამოცდილი კაცი ხარ, ინსტიტუტის დირექტორი ხარ, და როგორ დავიჯერო, ის არ შეგიძლია, რომ...

— უნდა დაიჯერო, არ შემიძლია!.. ჰოდა, გისურვებ კეთილ მგზავრობას, მომიკითხე ვალერიანი, დამიკოცნე ციფუნა, ნახვამდის, კარგად მენახე, მორჩა, გათავდა ამაზე ლაპარაკი და წერტილი!

გავიდა ინსტიტუტში მისაღები გამოცდების პერიოდი. მიღებულთა შორის ერთ-ერთი უძლიერესი, რომელმაც განაცვიფრა თავისი ცოდნითა და მომზადებით კომისიის წევრები, იყო რაიონიდან ჩამოსული ქალიშვილი—თამარ ვარდოშვილი.

დირექტორმა დაიბარა თამარი კაბინეტში. გამოჰკითხა, ვინ იყო, საიდან იყო და როცა ქალიშვილმა ჰასუხად თავისი ავანჩავანი უამბო, სახე გაბადრულმა შალვამ იკითხა:

— ნატალიას ქალიშვილი ხარ, თამარ?!.. შინაურები ციფუნას რომ გეძახიან, ჰა?

— დიახ, ნატალიასი გახლავართ!—გაეღიმა ქალიშვილს.

— აუ, რა გამახარე! ყოჩაღ ნატალია, კარგი შვილი გაუზრდია. მაგრამ, ეს მაინც ვერ გამიგია, შენი ცოდნის პატრონს რა პროტექცია სჭირდებოდა, დედაშენი თხოვნით რომ თავს დამადგა კაბინეტში ამას წინათ?

— როგორ გეკადრებათ!.. დედა, რჩევისათვის გეახლათ. ნათესავი კაცია, ცუდს როგორ გვირჩევს და სადაც ის გვეტყვის, იქ შევიტანოთ საბუთებიო... მაგრამ თქვენ არც კი აცალეთ დედას სიტყვის თქმა, ისე გამოისტუმრეთ... ჰოდა, ისევ ჩემი ჭკუით ავირჩიე მომავალი სპეციალობა.

— აფერუმ შენს ქალობას!.. კარგი სპეციალობა შეგირჩევია... და იცი რას გეტყვი?.. ნამდვილად მეამაყება შენი ნათესაობა.

— ჩუუ!.. არავინ გაიგონოს... დედამ ძალიან მთხოვა, დირექტორი ჩვენი ნათესავი თუ არის, ნურავის გააგებინებო.

— როგორ, განა გეთაკილებათ ჩემი თანამდებობა?! — აენთო შალვა.

— ჩვენ ხომ თქვენი ნათესავები ვართ და არა თანამდებობის... თქვენ კი... ჰოდა, მართლაც უხერხულია!..—გაიცინა ქალიშვილმა, კარები ნელა გაიხურა და შალვა მარტო დატოვა კაბინეტში.

საინტერესო ციფრები

მსოფლიოში ყოველდღიურად 293 მილიონი ეგზემპლარი გაზეთი იბეჭდება, აფრიკის, აზიისა და სამხრეთ ამერიკის მოსახლეობა ყიდულობს ამ ტირაჟის 24 პროცენტს.

ეს კონტინენტები ფლობენ, აგრეთვე, მსოფლიოში არსებულ რადიომიმღებლობათა 11 პროცენტს.

* * *

აქამდე არსებულმა ომებმა ისეთი აურაცხელი ხიმდიდრე გაანადგურეს, რომ ეს ხიმდიდრე 8 მეტრი ხიხქისა და 10 კილომეტრი ხიგანის ოქროს ლენტის ფორმით რომ წარმოვიდგინოთ, ხიგრძით მთელ ეკვატორს შემოხვდებოდა.

* * *

ჩრდილო ამერიკის პატარა ქალაქ ვინსხბერგის მოსახლეობა ყოველწლიურად, 29 ივლისს უჩვეულო იუბილეს ზეიმობს. ეს მათი ადგილობრივი ზეიმის დღეა და ეწოდება წვიმის ზეიმი. ხაქმე იმაშია, რომ ხწორედ ამ დღეს იქ რეგულარულად მოდის წვიმა. 1870 წლიდან დღემდე, ე. ი. 90 წლის მანძილზე ზეცამ მხოლოდ ცხრაჯერ გაუმტყუნა მათ იმედი.

* * *

ახლახან შანხაიში ერთ-ერთმა ხელოვნური ქსოვილების დამამზადებელმა ფაბრიკამ დაიწყო ხელოვნური ყვავილების გამოშვება. ისინი ძალიან ძნელი გასარჩევია ცოცხალი ყვავილებისაგან და ახლავს ისეთი არომატული ნივთიერება, რომელიც დიდხანს უნარჩუნებს ხაამო ხურნელებას.

* * *

ლიბიის უდაბნოში ინჟინერ-ტექნიკოსებმა, რომლებიც უდაბნოს მორწყვის საკითხზე მუშაობდნენ, აღმოაჩინეს მიწისქვეშა მდინარე. ფიქრობენ, რომ ამ მდინარის ხათავე ჩადის ტბის მახლობლად, მდებარეობს —ხაჰარას ხამხრეთ ნაწილში. მდინარის მიწის ზედაპირზე ამოყვანა რომ შეძლებოდეს მიაჩნიათ რომ იგი ოთხ მილიონ ჰექტარ მიწას მორწყავდა.

* * *

ხაზღვარგარეთ დამზადეს ახალი ატომური ნათურა, რომლის შუქი ნათლად ჩანს ნახევარი კილომეტრის მანძილზე. ნათურა ათ წელიწადს ძღებს. მის გამოყენებას დიდი უპირატესობა აქვს ხიგნალიზაციისათვის მაღაროებში, საავტომობილო და რკინიგზებზე.

გარეკანის პირველ და მეოთხე გვერდზე: «ვ. ი. ლენინის გამოსვლა გოელროს გეგმის შესახებ».

მხატვარი ლ. შმატკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიწყო ხელისმოწერა ჟურნალ „დროშაზე" 1961 წლისათვის

ხელისმოწერა მიიღება განუსაზღვრელად „სოიუზპეჩატის" კონტორებისა და კავშირგაბმულობის განყოფილებებში; ხელისმოწერას მიიღებენ აგრეთვე ფაბრიკა-ძარხნებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში საზოგადო გამავრცელებლები.

ხელისმოწერის პირობები:

12 თვით—36 მანეთი.
6 თვით—18 მანეთი.

უცხოური ჰუმორი

* * *

— ერთხელ აინშტაინი ნიუ-იორკის ქუჩებში ნაცნობს შეხვდა, „ბატონო აინშტაინ,—მიმართა მან—თქვენი პალტო ძალიან გაცვეთილია, რატომ ახალს არ იძენთ?" „რა საჭიროა? ნიუ-იორკში მე არავინ მიცნობს". მიუგო აინშტაინმა. რამდენიმე წლის შემდეგ აინშტაინი კვლავ შეხვდა იმავე ნაცნობს. ცნობილ ფიზიკოსს ისევ ის ძველი პალტო ეცვა. ნაცნობმა კვლავ ურჩია ახალი პალტო ეყიდა.

— რა საჭიროა? — უთხრა მეცნიერმა აქ ხომ ყველა მიცნობს.

* * *

უწინ ტრანსპორტის ნაკლოვანების გამო საფოსტო ეტლს სახურავზეც ჰქონდა სამგზავრო ადგილები.

ერთმა ჩასუქებულმა მგზავრმა, რომელსაც უნდოდა, რომ ეტლში თავისუფლად მჯდარიყო, წინასწარ გააგზავნა მეზობლის ბიჭი ფოსტის სალაროში და სთხოვა ორი ბილეთი მოეტანა.

ბიჭი მალევე დაბრუნდა და მოახსენა: რადგან ორი ადგილი ერთად აღარ იყო, ერთი ბილეთი სახურავისა აგიღეთო.

ჟურნალ „დროშის" № 10-ში მოთავსებული კროსვორდის პასუხი

ჰორიზონტალურად: 1. ბარაქა. 5. ხანკოუ. 7. სპინოზა. 11. ესტაფეტა. 12. ესტაკადა. 14. ალამი. 15. ანტიკვარი. 16. ულტრა. 19. მილანი. 22. გარსია. 24. სოინარი. 25. ეტნა. 26. იოტი. 27. ორგანო. 28. სტვირი. 29. ტილო. 32. ჩინი. 33. სლოვაკი. 34. ანკარა. 35. იგარკა. 38. ფარსი. 39. ესპერანტო. 40. სიმდი. 44. არსენალი. 46. ეპიგრამა. 47. ინსულტი. 48. იადონი. 49. აბჯარი.

ვერტიკალურად: 1. ბალადა. 2. ალტაი. 3. ქისა. 4. დოდე. 5. ხარკი. 6. უჯარმა. 7. სტერნი. 8. არტური. 9. ასამბლეა. 10. ოდალისკი. 13. აკვანი. 17. ინტერიერი. 18. ჩატურანგა. 19. მეტრიკა. 20. კორნელი. 21. არქტიკა. 23. ანტანტა. 30. ორკესტრი. 31. ავტორი. 32. ჩარტიზმი. 36. ასმათი. 37. შტრიხი. 38. ფასადი. 41. ისინდი. 42. დენთი. 43. ფრაზა. 45. იქსი. 46. ეტლი.



„ანეტა? რა დამიშლის, რომ ერთი ხილა გტკიცოთ!".

უტექსტო ხუმრობა.

რედაქტორი ალიო მირცხულავა
პ/მგ. მდივანი ნ. ჩაჩავა

სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, ი. ტაბალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

მხატვარი-რედაქტორი ვ. ონიანი. ტექრედაქტორი დ. სეფიაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, IV სართ. ტელ. — რედაქტორის და პ/მგ. მდივნის — 3-52-69, განყოფილებების — 3-95-58

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. ფასი 3 მან. გარეკანი და ჩანართი გვერდები დაბეჭდილია ფოტოციინკოგრაფიაში

ხელმოწერილია დასაბეჭდად 3/XI-60 წ. გამომც. № 122. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. 1,5 ქაღ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობითი ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკური ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 22.000. შეკ. № 1781, უე 00098

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კ „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. №14.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სომხეთის 40 წლისთავი

ფოტოზე.

ერთ-ერთი ქარხნია ხედი

ვ. ი. ლენინის მოედანი

რთველი ოქტომბერიანის რაიონში

დილა არარატის ველზე

Gp-31/56

ეროვნული ბიბლიოთეკა